

1924/7

31

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭო




1924 წ. მ ა რ ტ ი ს 9

№ 7 - ფ ა ს ი 20 კ ა ვ.



ანასტასია ერისთავი-ხოშვარიასი
 დამსახურებული მწერალი - ქალი.
 მისი 35 წ. სამწერლო მოღვაწეო-
 ბის იუბილეს გამო დღეს, რუსთ-
 ველის თეატრში.



იერემია გულიშვილი
 დამსახურებული მსწავლუბელი და
 მწერალი, მისი 35 წ. მოღვაწეობის
 იუბილეს გამო დღეს სჯარჯოში.

იუბილე ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.



მ ო ყ ო დ ე ზ ა

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა და ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას საიუბილეო კომიტეტისა.

მარტის 9 სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის დადგენილებით რუსთაველის თეატრში იმართებ იუბილე მწერალ ქალის ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი მისი 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

ძნელად თუ მოიპოვება ისეთი ქართველი მკითხველი, რომელსაც არ წაეკითხოს მისი მოთხრობები: „ექვსისი გარშემო“, „მედის ტრილი“, „ლახარემ გადაეპარა“, „მიწა“, და განსაკუთრებით მისი დიდი როზანი „მოლინის გზაზე“.

პირადად ამ მცხოვრებ მწერალ ქალს ბევრი არ იცნობს, იგი მეტად მორცხვი და მოკრძალებულია; იგი მკითხველს ჰზიბლავს თავისი სტრიქონების სურნელებით, თვითონ კი ეფარება ოჯახის კერას და მყუდრო მუშაობას ეწევა.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია თითქმის ერთადერთი მწერალი ქალია, რომელმაც დასძლია საქართველოს რომანის წერის სიძნელე და გვერდში ამოუდგა ჩვენს საუკეთესო რომანისტებს.

ერთგული მეგობარი და მეუღლე პოეტის დეტუ შეგრილისა, მრავალ შვილების დედა—ანასტასია ერისთავი-ხოშტარია ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცებს ქართველი ქალის სულის სიძლიერეს, რომ ქართველ ქალს შეუძლიან ერთსა და იმავე დროს იყოს ნამდვილი დედა და საზოგადო მოღვაწე.

მარტის 9 არ არის მარტო მწერლების და კერძოდ ქართველ მწერალ ქალის დღესასწაული, იგი დღესასწაულია საერთოდ ქართველ ქალის.

ეს არის დღესასწაული ქართული მხატვრული პროზის, ქართული რომანის.

ჩვენ გვწამს, რომ მარტის 9 ქართველი საზოგადოება მოკრძალებით მიესალმება დამსახურებულ იუბილარს, მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მის სახეიშო საღამოში და თანაგრძნობით გაუთობოს იმ გულს, რომელიც თავის ხალხისადმი სიყვარულით მუდამ სჩქევს...

საიუბილეო კომიტეტის } დავით კანდელაკი
საპატიო თავმჯდომარენი: } მარიამ ორახელაშვილი

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი

წევრნი:

აბაშელი ს.
არაგვისპირელი შიო
ბარნოვი ვასილ
გაბაშვილი ეკატერინე
განდევილი დომინიკა

გრიშაშვილი ი.
დადიანი შალვა
დავითაშვილი ნინო
იაშვილი პაოლო
ინგოროყვა პავლე

კლდიაშვილი დავით
მარჯანიშვილი კოტე
მგალობლიშვილი სოფრომ
ნაკაშიძე ნინო
როზაქიძე გრიგოლ

რუხაძე ვარლამ
საყვარელიძე პავლე
ქიჩიელი დიო
შანშიაშვილი სანდრო
ჩხეიძე დავით

მდივანი: მიხ. ბოჭორიშვილი

ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო ს

კოოპერატიული კავშირის

ც ე მ ა ვ შ ი რ ი ს

საბანკო განყოფილება

ლებულობს ანაბარს ვადანს, უვადოს და მიმდინარე ანგარიშზე ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით

ჩერგონციის კურსის მიხედვით და აგრძელებს ჩერგონცებით როგორც კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა საზოგადო ორგანიზაციებისაგან, აგრძელებს კერძო პირთაგან.

ილავს ფულს გადასაგზავნად

საქართველოში საბანკო რესპუბლიკის ყველა ქალაქში.

ფულის გადაგზავნა შეიძლება ჩერგონციის კურსის მიხედვითაც.



1910—1924

წელიწადი XIV

№ 7

შსსი 20 კ.ბ. ნიკრ.

„თეატრი და სმოკრაბა“

ყოველკვირეული სურათგზიანი ჟურნალი.

რედაქციის ბინა: წველი ქართული თეატრი (ყოფ. თეატრარმიელთა კლუბი), სახალის ქ. № 5, ეზოში ახალ „კლუბ“-ს შესავალიში. ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და სმოკრაბა“, იოსებ მიქაძის ქ.

თეატრი, ბუმბუბ, მხრეპა, მხატვრობა, ქანაქობა, სმოკრაბა, სმოკრაბა, სმოკრაბა

დაარსდა 1910 წ.

კ ვ ი რ ა, მ ა რ თ ი ს 9

გამოცემა 1924 წ.

ს ა ლ ლ ე ი ს ო

იუბილე. კიდევ იუბილე!—გაოცებით წამოიძახებეს მკითხველი, მაგრამ რა უყოთ, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნე და განსაკუთრებით 25—30 წ.წ. წინ გამოვიდნენ იერების ხანა და ვინც ამ დროს უნებაროდ მოღვაწეობდა—ერის საყვარელია, ყველას ერის მადლობა ეკუთვნის.

სწორედ ასეთები არიან ქვემოხსენებულნი მადლ-მისილნი მოღვაწენი.

ანასტასია ბრისტაფი-ხოზარია. დღეს ქართველი საზოგადოება სიყვარულით შეეგებება თავის ცხოვრების მოქურაღე—მას ზეარს,—მწერალს, რომელიც მთელი 35 წ. მშობელი ერის კენესით იცემებოდა...

ეს არის ანასტასია ბრისტაფი-ხოზარია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთადერთი ქართველი რომანისტი ქალია, რომელიც უტყუარად ხატავს ჩვენს ცხოვრებას.

იგი 35 წ. ათრობობდა ქართველის გულს, ამდირებდა ქართულ სიტყვას-კახულ მწერლობას.

და, ქართველი საზოგადოებამ ერთის წუთით მაინც ნეტარებთ აუთრობის გული ამ მისთვის მუდამ მზრუნველ ადამიანს. (იხ. ამავე ნომერში 10 ივ.)

ივანე ბუღისაშვილი. აი ერთი მათგანი, რომელიც იდუმალის ცეცხლით იწვიან ხალხის საკითხილდელია! მწერალი—დრამატურგი, მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე იერემია ბუღისაშვილი ჩვენი სინხელით მოკულ დაბა-სოველს დაუტრიალდა, რადგან იცოდა, რომ აქ სამკლიო ფრიალ დიდია, ხოლო მუშაკი მცირე.

და მადლიერა სოველი დღეს ს. საგარეჯოში უმარ-თავს 35 წ. იუბილეს საყვარელ ნაამაგდარ მუშაკს. *)

იერემია ბუღისაშვილი სახალხო თეატრის ისტორიაშიც აღბეჭდილია,—იგი ავკლის აუდიტორიაში ერთხანს რეჟისორობდა კიდევ.

და, მისი ნაშრომების დაფასება შემდეგ თაობის სასიკეთო მუშაკობის მაგალითი შეიქნეს.

ნიკო გომიკაძე. და თუ ვისმეს ეკუთვნის იუბილე—ეს უფრო მეტად მუშა-მსახიობს ნიკო გოცირიძეს.

კიდევ უფრო მეტი—თუ ვინმეა ღირსი რესპუბლი-

კის სახალხო მსახიობის წოდებისა,—ეს ნიკო გოცირიძე,—და მხოლოდ ნიკო გოცირიძე, რადგანაც 90-იან წლებიდან მოყოლებული იგი განსაკუთრებით ხალხს—მდაბიო ხალხს ემსახურებოდა სრულიად უნებაროდ—უშრომისფასოდ: მთელი დღე რომ ქარხანაში მუშაობდა, საღამოობით სახალხო თეატრის სცენაზე აღვივებდა ხელოვნებას ცეცხლს როგორც მაღალნიჭიერი სცენის-მოყვარე-მსახიობი (ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით) და დაკვირვებული რეჟისორი.

ერთი წელიწადი ნიკო აკადემიური დრამის თეატრ-მა მიიწვია. აქ მისი ხელოვნება კიდევ უფრო გაბრწყინდა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, იუბილეს შემდეგ ისევ სახალხო თეატრს უნდა დაუბრუნდეს: ეს იყო მისი ავეჯი, აქ უნდა იყოს მისი დიადობის უმაღლესი კიბე.

ყველა მათ—ან. ბრისტაფი—ხოზარია, იერ. ბუღისაშვილი, ნიკო გოცირიძე და მარო მდივანა (რომლის იუბილე ვასულ კვირას ბათოშიც გაიხიხინეს) მთელი თვისი არსება, სული და გული მშობელი ერის წინსვლას შესწირეს და მადლიერი ერიც შესძახის:

— ვაშა და გამარჯვება სცენისა და მწერლობის-თვის თავდადებულ მუშაკო!

დღი მოვლენა ძლიეს!.. ძლიეს ვეღირსეთ ქართულ დიდებ-ნიან ჟურნალს.

ეს არის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თეთრი გამოცემა „კავკასიონი“, 3. ინგოროყვის რედაქტორობით.

უკვე გამოცემა № 1 და 2 ერთ წიგნად.

ჟურნალის მასალის განხილვას შემდეგისთვის გადავსდებთ, ახლა კი ვიტყვი, რომ ჟურნალი ყოველ-მხრივ გამართულია და საქართველოში დღემდე გამო-სულ ჟურნალებზე აღმატებული. აქ არის განყოფილება-ნი: ქართული ლიტერატურა, უცხოეთის ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია და მეცნიერება, მემუარები და დოკუმენტები, ქართული კულტურის საკითხები, ბილიო-გრაფია.

ჟურნალი მოგვირისტებულია დამსახურებულ მწე-რალთა სახელებით, ყოველი მათი ნიჭქვამი დახვეწილი.

სიამოვნებით ვეგებებით რა „კავკასიონი“-ს, ვუსურ-ვეთ დღევანდელთასა, ხოლო ქართველ მკითხველს ვუ-ლოკათ მის გამოცემას!..

*) მისი ნაშრომების მოკლედ დახასიათება იხ. თ. და ც. № 4.

პროლეტარული პოეზია

ონა ვაკელი.

რევოლუციამ წარმოშვა ჩვენში პოეტები, რომლებსაც პროლეტარულ პოეტებს უწოდებენ და თითქოს ამით იმისი თქმა უნდათ, რომ ჩვენში რევოლუციამდე პროლეტარული პოეტები არ არსებობდნენ.

ეს სიმარტულ ამ არის.

პროლეტარული მგოსნის, დამახასიათებელი ის არის, რომ პროლეტარულ წრეს ეკუთვნის და ამ კლასის მისწრაფებითა და განცდათა მსახვეია.

პირველი პროლეტარული მგოსანი იოსებ დავითაშვილია (1850—87 წ.)—(სურ. იხ. „თ. და დ. ც.“ № 2 რედ.). ის გამოვიდა მუშათა წრიდან და მთელი თავისი მისწრაფებით, იდეალებით და პოეტური შემოქმედებით მუშათა კლასს ეკუთვნოდა.

„მუშა ვარ და კიდევ ვიცი
მუშის გულის პასუხები“.

როდესაც დავითაშვილი საშუალო ასპარეზზე გამოვიდა, პროლეტარიატი ჩვენში მაშინ არა ყოფილა გარკვეული სახისა და, რა თქმა უნდა, დღეს დავითაშვილი პროლეტარულ შემოქმედებას ვერ მოსწევდათ, მაგრამ ყოველი დამიანი უნდა დაფასდეს მხოლოდ ისტორიულ პირობებში.

თავის დროის შესაფერისად დავითაშვილს შეთვისებული ჰქონდა პროლეტარული შეხედულება ცხოვრებაზე: მე გულს მწვავს ეს სოფელი
ორნაირად გაყოფილი:
ბედით ჩაგრულს უღებდა სჩაგრაეს
თავის ბედით ქვაყოფილი.
დავითაშვილის შემდეგ იწყება ჩვენს პროლეტარულ პოეზიაში ინტერვალი და პროლეტარულ ჰანგებს ისევ აწყობს თავის ჩანგზე ეედოშვილი. *)

ჩვენი პროლეტარიატი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმის ლექსს:

მეგობრებო, წინ, წინ გასწით!
ნუ შედრკება თქვენი დული.
დე, შუბლს ოფლის დალი აჩნდეს,
და მკერდს— სისხლის ნაკადული!

მაგრამ ეედოშვილი არ იყო წმინდა მიმართულების პროლეტარული მგოსანი.

პროლეტარულმა პოეზიამ იფეთქა ჩვენში პირველი რევოლუციის ხანაში და შემდეგ რეპეტიციის დროს.

აქ პირველობა ეკუთვნის ვარლამ რუხაძეს. მან გაბედულად ჩამოკრა პროლეტარულ გრძობებს და პროლეტარული ბრძოლის ზარს.

ვარლამ რუხაძე**) გამოვიდა მშრომელი ხალხის წრიდან და მაშინდელ პირობებთან შედარებით მედგრად ააგვიზოხა პოეზიაში რევოლუციის ცეცხლი.

ვარლამ რუხაძეს მოჰყვენ ნოე ჩიკვაძე, ქუჩიშვილი, ობოლი მუშა, რომლებმაც პროლეტარული ბრძოლის ქუჩას მძლავრად შეუნთეს ცეცხლი.

ჩიკვაძეც, ქუჩიშვილიც მშრომელი ხალხის შვილები

არიან და მთელი თავისი პოეტური გზებით პროლეტარიატს ეკუთვნიან.

იღმა რევოლუციამ ვადაშალა დიდი პერსპექტივები და შეიტანა ახალი ტალღები ჩვენს პროლეტარულ პოეზიაში, მაგრამ თუ ჩვეულებრივად ამ ტალღებს, შვედნიანებით იმავ დღეებს, იმავ მუსიკას, რაც ახასიათებს საერთოდაც ჩვენს პროლეტარულ შემოქმედებას.

თქმა არ უნდა, ეს დღელიც, ეს მუსიკაც უფრო მძლავრია, უფრო გაქანებული და მოვარდნილი, რადგანაც თვითონ რევოლუციის ბუნებაც ასეთია.

ახალ პროლეტარულ პოეზიაში საპატიო ადგილ უჭირავს იონა ვაკელს, რომლის „შარავანდელი“ ლაშხი და აკცელიანი დასაწყისისა მისი თაფარაყარლი შემოქმედებისა.

ფორმა იონა ვაკელს საკმაოდ დამორჩილებული აქვს და მისი პოეზია განირჩევა თავისი მუსიკალითა და პარონიით შინაარსისა და ფორმას შორის.

იმის პირველ ნაბიჯებს გავლენა ექმნევა სხვა პოეტების და ხშირადა ჰზადავს ვალაქტონ ტაბიძეს, განსაკუთრებით იმის „ლურჯა ცხენებს“.

35 გვერდზე „თუჯებს ლანჯარ“-ში რითემები: თარეში—სიმუხრვალეში,—ტაბიძეს ეკუთვნის; აგრეთვე 51 გვერდზე „შრომის ოკეანე“-ში რითემები: მხარეში—თარეში.

38 გვერდზე „ჩვენი ბრძოლის ხალხს“-ში არის აბაშელის რითემი: გაუფონარი—დაუფონარი (აბაშელის შორეული ნაპირი: დაუფონარი—გაუფონარი).

64 გვერდზე „მეზარე“-ში ქუჩიშვილის მეტრი და რიტმია.

მაგრამ ახალგაზრდა მგოსნისათვის შეუძლებელია, რომ მთელ წიგნში სხვისი რითემაც არ შეეპაროს. მგოსანმა უნდა შიქსციოს დიდი ყურადღება ენას.

სიტყვა მის საკმაოდ დამორჩილებულ ჰყავს, მაგრამ ალავ აგავ მინც მიიბოძა ცუდი ქართული, რამდენიმე ალავას „არის სისხლმა“ ვაღება; ვამობობ—სისხლმა შეღება. მათ „შედარება არ გვიცნა სხვაზე“ (გვ. 44) ცუდი ქართულია. ვულკანის ლავა სრულებით არ არის ქართული. „სისხლი ღებს დროშებს“ საწინელი ქართულია, აგრეთვე—„ტყვია თოვდება“.

„ქალკე უშვებს შფოთისა“ მიუღებელია პოეზიაში კი არა, პროზაშიაც.

როდესაც იონა ვაკელის პოეზია დაიხვეწება და გაიწმინდება ასეთი შეცდომებისაგან, ჩვენ მივიღებთ საუკუნოვო ყვავილს პროლეტარული პოეზიის ბაღში და რეალურ მოვლენათა მზატვარი არიან. რეალიზმს ჩვენში ჰქონდა შემუშავებული საკუთარი ფორმა და სტილი. მოსლოდნელი იყო, რომ ახალგაზრდა პროლეტარული მგოსნები ძველ ფორმაში მოითავსებდნენ ახალ შინაარსს.

მაგრამ იონა ვაკელი აღარ ემყოფილდება ძველი ფორმებით და იმის პოეზიაში შეჭრილია სიმბოლიზმი

*) საშუალო ასპარეზზე გამოვიდა 1893 წ. რედ.
**) საშუალო ასპარეზზე გამოვიდა 1892 წ. რედ.



თავის სტილით, ასონანსებით, კონსონანსებითა და ალაგ-ალაგ თავისუფალი მეტრი.

ეს გამარჯვება ჩვენი სიმბოლოზის და ამავე დროს ლოსება იონა ვაკელის პოეზიისა.

ვატაცების, წმინდა სივიის, ბრძოლისა და ცეცხლის პოეზია სიმბოლოზის ფორმებში უფრო ვითარდება და შლის ფრთებს.

ეს უტყუარი ღირსებაა ქართული სიმბოლოზისა და მისი ძიობის—ცისფერ ყანწვლებსა, რომლებმაც ჩვენი პოეზია გამოიყვანეს ძველი ჩიხიდან და მისცეს მას ახალი გასაქანი, ახალი მიღწევენი. მათი გალერეია თავისკვლევებისა, ქლექიანებისა, შეშლილებისა, ლოთებისა და აშორიებისა პროლეტარულ პოეზიაში სრულებით მიუღებელია, ხოლო მათი სტილი და ფორმა უკვე გამარჯვებას დღესასწაულობს.

იონა ვაკელს აქვს მობედნილი ასონანსები: პოეტი—სიმარტოეთი, ბივირტი—ღერიდი. მოედნის—მოდელო, თალი—ზამბახი და მრავალი სხვა; შვიდადშიგ ურეკა ლამაზი კონსონანსი, როგორც დემოსი—შემოსე. არის თავისუფალი მეტრიც და ურითმო პოეზიაც; მაგრამ თავისუფალი მეტრი და ურითმობა ერთგვარი სკილა და ხარბიბა არის პოეტისათვის.

რითმა და რიტმიული მეტრი მუსიკაა ლექსისა, ერთგვარი აკომპანიმენტი. როდესაც მომღერალი აკომპანიმენტს უარჰყოფს, მას მეტად დიდი იმედი უნდა ჰქონდეს თავისი ხმისა.

აგრეთვე როდესაც პოეტი ლექსში მუსიკას თავიდან აშორებს, მას დიდი იმედი უნდა ჰქონდეს ლექსის შინაგანი ძლიერებისა. თუ ეს არ არის, ჩვენ მივიღებთ პოეზიის მაგიერ უხეირო პროზას.

„შრომის ოკეანეში“, „საოცნებო დილა“-ში და ზოგიერთ სხვა ლექსშიც ავტორს აქვს შინაგანი რითმა. შესეს უყვარს შინაგანი რითმა, რაც მეტ სილამაზესა და შესიკალობას აძლევს ლექსს. შემდეგ და შემდეგ შინაგანი რითმა გაქარა ჩვენს პოეზიაში.

მლაგრად გამოანათა შინაგანმა რითმამ ვალაქტიონ ტაბიძის პოეზიაში. მისი „ატმის ყველიება“ შესანიშნავია ამ მხრივ. შინაგანი რითმა ეადვილება იონა ვაკელს და საუცხოვრია მისი ლექსები შინაგანი რითმით.

პოეტი ჰქმნის ახალ სიტყვებსაც, რაც მეტად დიდი ღირსებაა. მაგალითად სიტყვა „სიმარტოეთი“ სხვაგან მე არ მხსოვს, არც—აქორქობება.

საუცხოვრია არიან „შრომის ოკეანეში“ და „ჩვენი მისი“-აქ არის ვატაცება, თავდავიწყება, სიხალისე, აღმაფურება, მოზღვავებული გრძობა და შეურყეველი რწმენა, დიდი სიწრფედე და ნამდვილი პოეტური გზნება.

ალაგ-ალაგ არის პესიმისტი, როგორც, მაგალითად „თავდავიწყების წუთებ“-ში.

„და ასე ვიბრძვით ცოდვილ წუთებით, ტანჯული სულის აღმოხდომამდო“.

პესიმისტი უძლურთა და სნეულთა აზროვნებაა. პროლეტარულ პოეზიაში კი ძალა და ჯანსალობა უნდა სრულდეს და ცეცხლს აფრქვედეს. ამიტომაც ყოველგვარი პესიმისტი უნდა განიდევნოს პროლეტარული პოეზიიდან.

„საოცნებო დილა“ დიდი მიღწევაა ყოველის მხრივ

ახალგაზრდა პოეტისათვის. აქ არის იშვიათი განცდა, სისპეტაქე, სიხალისე, იმედი, საუცხოო რითმა და დამატობილი მილოღია.

„აქინძულ რგოლუბა“-ში იშვიათი ასახვაა ცეცხლის გმირებისა და რევოლუციის, ხოლო ლექსის პატარა ნაკლს შეადგენს დაუსრულებელი გაოცების ო დიო! მა-



იონა ვაკელი

როთალა, გძელი ლექსია, მაგრამ შიგ ჩვიდმეჯარ არის გამეორებული ო!

პოემებში არის ცეცხლი, ვატაცება, გაქანება და შესაფერი განწყობილება.

„დილის ზეიმი“-ს აფერადებულ ხალისის და ცეცხლის აღებს საუცხოველ შეეხამება თავისუფალი მეტრი და დაუდევარი, გულმავიწყი რითმა.

რევოლუციის ქარცეცხლი და სიმაკრე, სისწოროთა აქ გამოასახული.

იონა ვაკელი სუსტია იქ, სადაც ის ცდილობს ქარხნისა და მანქანების გრაილის გადატანას პოეზიის სიმებზე.

ამჟარაა, პოეტის გამოცდილება და დაკვირება ჯერ ვერა სწვდება ამ დარგში იმის მიზანს.

გვიყვარს გრიგალი და ქარიშხალი. და მიულოდნელ გამბედაობის ღვთიური ნიჭით აკაშკაშება.

ვუმღერით უროს, ვუმღერით ჩაქუჩს, ქუჩებს და ქარხნებს!

ამ სიტყვებში დახასიათებაა იონა ვაკელის მთელი შემოქმედებისა.

როგორც ახალგაზრდა მგოსანს მისთან ახლავს ბე-
გრი ნაყოფი, რომლის გასწორება ადვილია.

ხოლო მას ზაქეს ტემპერამენტი, პოეტური ცეცხლი,
სიხალისე, გაქანება, მხატვრული ინტუიციდა, რითმის
ყნოსვა.

ყოველივე ეს სრულ იმედს გვაძლევს, რომ პროლეტა-
რულ პოეზიას ჭეშმარიტი ნიჭი ემატება.

ივ. გამართელი

ფრაგმენტი: „გატხილი ფიქლები“ დაწ მიცდის მტრალი...

ყველაფერი მეჩვენება შავად.

ღვინებმა დაიწყეს ტირილი კედლებთან...

— უღროოდ გაკვირეს წყალმანკი...

— უღროოდ ეწვია ციხეს: ბოლმა და ნაღმების ფა-
რული აფეთქება.

მე მაინც დავდევარ ჭეჩუბში.

მე მაინც ვიყურები მზისკენ.

კვირა ღღეს მინდოდა მეყიდა სამოსი, წაესულიყუე
სოფელში და იქ მელოცნა წმინდა გიორგის ხატის წინ
ცრემლი რომ სდის.

მას გადაჰფარებია კვამლის ნაღენი და მტვერი,
გაფლნთილი შავ ფიჭვებით.

იგი აღარ გამოიყურება თამამად ცეცხლის თვლებით.
თითქოს აპირობს რაშიდან გადმოფარდნას.

თითქოს აღარ უნდა ამაყი სიცილი და ფრენა: ჭე-
ღების მაღლა არწივებთან.

იქ ბუღობს გველი: ბრძენი, საშიშარი და ჭრელი:
როგორც ბაღდაღური ძველი ხალიჩა.

ამბობენ: ოქროს თასი აქვს იმ გველს.
მზის გულზე ათამაშებს ხოლმე უშიშრად და ლა-
მახად.

ყველას ეშინია იქ გავლის.
ყველა გაუბრბის იმ ადგილს.
ბებერ სათარას, რომელიც იმორჩილებს შაბიან
გველებს, ვერ გაუბედავს იქ მისვლა.

ამბობენ: გველი იმ სამლოცველოში მხოლოდ წმინ-
და კაცს შეუშვებს და ოქროს თასსაც მისსცემს.

ყველა სენს ჰჰურნავს ოქროს თასს: თილისსაა
ჩაყოლილი შიგ, დიდხინის, წინანდელი ნატურაა და ლო-
ლი კაცის, დაღვრილი გახუტებულ სისხლიდან ცხელ მი-
წახე.

უნდა ვცაღო ბედი.
უნდა მივიღე იქ.

იქნებ ვარ მე წმინდა და უტოლდეელი?...
თუ დამძალა ცოდვებმა:

მაშინ, დღე, ჩემი გვამი ჩაღპეს იქ—ადამიანთა ხორ-
კით გასუტებულ მიწაში, და სული დარების მოლოდინს
ჩაქრობილი.

მე/ მაინც წაველ იქ.

კაიუს პელი

მფერალი მ. ადამაშვილი (ჯავახიშვილი)

(იგივე მ. ა.—ლი, ალი, მალი, ადლი, მადლი)

20 წლის სამწერლო მოღვაწეობის შესრულების განი

მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი) დაიბადა 1880
წ. გლეხის ოჯახში, ბორჩალოში, ს. წერაქეში (შემდეგ ეს



მ. ადამაშვილი

ოჯახი გადასახლდა მიხეილის მამის მიერვე გაწეწებულ
ს. სიონში, ისევ ბორჩ. მაზ-ში). პირველი განათლება მი-
იღო სოფ. პრივილნოეში, ჯვალა-ოლღოში, შემდეგ წინა-
მძღვარიანთ-კარში და ნიკიტის სამეურნეო სკოლაში (უ-
ტიშიში). ღღე-მამა რომ დაეხოცა (1900 წ.), საქართველო-
ში დაბრუნდა და 1903 წ-ლის იმსახურა ალავერდის სპე-
ლენძის ქარხანაში. ამავე წელს საშახურს თავი დაანტ
და ლიტერატურის გზას დაადვა. 1906 წ-ლის მუშაობდა
ქართ. ჟურ-გაზ-ში, ბოლოს რედაქტორად იყო ქკერ
ჟურნალის „გლები“-სა. ლიტერატურულ მოღვაწეობისთ-
ვის სამართალში იქნა მიცემული, რის გამო მ. ად-ლ
გარდხივეწა პარიზს, სადაც სორბონში სწავლობდა ეკო-
ნომიურ მეცნიერებას, ლიტერატურისა და ხელოვნების
ისტორიას იქ ყოფნა უხვად გამოიყენა და მრავალი ჭე-
ყანა დაიარა. 1909 წ. ისევ საქ-ში დაბრუნდა და სტო-
რობდა სხვის პასპორტით. მახლობელი თანამშრომელ
იყო ჟურნალი „ერა“-სა და „საქ. მოამბე“-სი. 1910 წ
დააპატიმრეს, მიუსაჯეს ერთი წელიწადი ციხე და ხუთ
წლით გადასახლება. 1913 წ. ისევ საქ-ში დაბრუნდა
1915 წ. რედაქტორი იყო იმ წელს დაარსებულ გა-
„საქართველო“-სი. 1916—1918 წ. მახატრებდა წითელ
ჯვარში. 1918—1921 წ.—ერთი დამაარსებელთაგანი ი
მდივანი საქ. სავაჭრო-სამრეწველო პალატისა. 1921—
1923 წ. ჯერ იყო ს. სახ. მეურ. უმ. საბ. ცენტ. სეწარ

მიყო ტეხ. განყის კოლეჯის თავმჯდომარე, შემდეგ ამირ-კავკის სავარეო ვაჭრობის ფინან. განყის გამგე, სალიტერნო ბიუროს თავმჯდომარე და ეკონომ. კონსულტაციის ბიუროს წევრი.

1903—1908 წ. დასწერა ათიოდე მოთხრობა, იმავე დროს საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც გააგრძელა, რამაც იმდენად გაიტაცა, რომ ბელეტრისტობას თავი მიანება. შარშან შემოდგომაზე, სწორედ 15 წლის დღემდის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა სიტყვაკაშხულ

ლიტერატურას და რამდენიმე თვეში დასწერა „საზოგადოებრივ მოთხრობა საერო სათაურით—კვაჭაძე კვაჭანტრაძე“ და „ტყის კაცი“, რომელიც „კავკასიონი“-ს მარტის ნომერში დაიბეჭდება.

ლიტერატურაში მის ადამაშვილი ჩაითვლება რეალისტურ სკოლის მიმდევარ. თავის მასწავლებლებად მიაჩნია მოჰსანი, ფლორერი, ჩუხოვი და სხ. უკანასკნელ ნაწერებში ეჩინება გავლენა ახალი ლიტერატურულ მიმართულებას. იორიოდ თვეში დაიბეჭდება მისი მოთხრობები ორ ტომად.

კ ვ ა ჭ ი კ ვ ა ჭ ა ნ ტ ი რ ა კ ე

კვავი კავყანახანო

(ნაწყვეთი*)

ის უკანასკნელი დღე კვაჭიმ და რებეკამ ერთად კატარეს.

აუწერელია ის დღე—ის შავი და იმეღ დროს ცეცხლიანი დღე გაყრისა და განშორებისა, სიყვარულის ძაღვების დაწვევებისა, ორი ცეცხლმოკიდებული გულის გახლეჩისა, ორი გაერთიანებული სხეულის გაპოხისა, ერთმანეთში არეული ორი სულის გაგლეჯისა.

დადგა ცრემლის გუბე, ასტყდა ქვითინი და წვილილი, იყო გაავებული ხორცის გლეჯა, სიმწარისა და სიტკბოების კბენა, ბალამიანი სევდა, ბნელობა, ნუგეში, დაპირება და ფიცი მარადიული, დაუქნობი და დაუფიყრის სიყვარულისა.

იმ დამეს კვაჭი საღაფრზე აო გავიდა ისაკსა და რებეკას გასაცილებლად, რადგან—როგორც იმ დილით უხარა რებეკას—შინიდა თავის დარდიხა და გულის ენების უნებურად გამხლეჩისა და გამკლავებისა.

სწორედ იმ დროს, როცა მისი ტურფა რებეკა მატარებელმა მოიტაცა, კვაჭი ერთ შანტანში სევდას იქარებდა:

—კაი შენი ჰირიმე, —ლაზუნით, შანტად და „არის-ტოკრატიულად“ იცოხნებოდა,—მიი „მეშინაბაბაჰ“, მეტი აფერია. რა არის ადესა, რა უნდა იყოს აქინე ცხოვრებამ! აფერი სწავლა აქინე არ შეიძლება... ან მოსკოვში წავალ, ან პეტერბურგში. მომწყინდა ამ ქუქუქან სოფელში ხეტიალი. ხელის გასანძრევი ალაგი არ იწოვება... ადესა ჩემთვის ვიწრო ქურქია. ალარ ვეტევი... დაბალი კბეა, ასაფრენი და ფრთის გასაშლელი არ მყოფნის... ზოდის? მალე, ერთ თვეში, ან უფრო ადრე წავალ... თქვენ? თქვენც წამოდი... გიშველი, რატომ არ გიშველი! რაო? ქუთაისი? ხა-ხა! ქუთაისი რა სახსენებელია! პოპია, მყარლი ჭაობი, მეტი აფერი. თუმცე საქართველოც ევილით... კაი შენი ჰირიმე, ნუ ამიხირდები. მიგელოთ თავისთვის ცხოვრობს, კახეთი—თავისთვის; გურობა აქეთ მოიწვეს, ქართლი—იქით... აჰ, მიი ტყვილი. კვაჭანაზე ასმა კაცმა ძლივს იცის საქართველოს სახელი. ან რა არის დიდი საქართველო? ბათუმში რომე თავი

მისიღა დასაძინებლად, ფეხები უნდა ქიხის მიაბჯინო; სოხუმში რომე ცხვირი დააცემინო, თელავიდან იხაზიან, „ნებრიო“; ქუთაისში ლათიაქსთან ან ერემოსთან რომე „მრავალ-ჟამიერ“ დიუწყო, ყაზბეგთან ბანს გეტყვიან, ხოლო ორთაქალის ბალებიდან „მადლობელს“ შემოვძახებენ. ბორჯომში რომე პაპიროსი ამეილო, ფთიიდან ოცი ხელი მინცე მოგწვდება—მეც მომაწვიეო; მყარალი ხელსახოცი რომ იპოვო, მთელი საქართველო მორბის ყვირილით: „ჩემია! ჩემიაო!“ აჰ, მარა ნულარ გამაბსენებო. გარსონ! კიდევ ერთი ბოთლი ფინ-შამპანი ლუი რედერეჩისა. რაა ბესო, შარტრევი გირჩენია? შენ, სერიოჟა, შიპირ გინდა? აჰა, კაი... მარსონი გინდა მოგვართვი... ანანასი, ფორთოხალი და ვანდარინცი...

და კვაჭი კვაჭანტრაძემ თავის სტუმრებს ოქროს პორტ-სიგარი გაუწოდა და თითის სისქე პაპიროსები შესთავაზა. პორტ-სიგარი აჭრელებული იყო მონოგრაფებით. მუსაზე უტყრა: „თავდას ნაპოლონ აპოლონიის კვაჭანტრაძეს ნიშნად რებეკას მარადიული სიყვარულისა“, ხოლო პაპიროსებზე ოქროს ასოებით წარწერილი და დაბატული იყო თავადლერი დეკანი, ხლართი სამი ასოი—კვაჭის ინიცილებული კვავიზი:

„ყველგან, ყველაფერი, ყველგან, ყველაფრით. ყველაფერს“.

—რაი აზრია ჩაქსოვილი აქინე, კვაჭო?
—ენისაც როგორც მჭურდეს, ისე ვეივოს. აი კილო, აი, აქინეც.

და სტუმრებს გაუწოდა ძვირფასი ბეჭედი, საათი და ოქროსთავიანი ჯოხი; სამივე თვალ-მარგალიტით იყო შემკული, სამგანვე იგივე გვიშმღმენელი დევიზი იყო ამოჭრილი.

—გარსონ! შამპანიური კარგად ვერ არის გაცილებული... Вещица! ამ რესტორანში აროდეს არ იციან კარგად გაცივება... არც ანანასი ვარკა, წყრილი... ბესო, წა გენაცვა, ეს ოცდახუთიანი მიეცი ორკუვსტრს, ჩემი საყვარელი ვალსი „მარბ ტერენზა“ დოუკრან...

კვაჭიმ თვალს მოჰკრა იმ სუზონის დიდოფელს, იმ კაფე-შანტანის პრიმალონს, ბრწყინვალე და მზეთა-მზე პარიზელს, რომელმაც სწორედ იმ დროს რესტორანში შემოიანათა.

—სედრაჰ, ა ჩემი „ვიზიტნი კარტიკაჰ“, მიი ქალი აქინე მოიპატეე, ჩქარა, თვარა სხვებმა მიეტაცეს.

*) კვაჭის ადესაში სადგარულ ჰყავდა —რებეკა იფელსონისა, რომელიც იმ დღეს უტკობოში გადასახლებულ თავს მისს ისაკს ასაგვა. ისაკა დაატარებულ იყო. კვაჭიმ ზაზაბერხა მისი განათავისუფლება, რაც იფელსონს ხუთი ათასი მანეთი დაუჯდა.

სეღარაკამ მამაკაცების ალყა შეარღვია:

— პონიკი ნაპოლიონ აპოლონიჩ კვაჭანტირაძე და მისი მეგობრები ვახოვთ პატივი გვცეთ.

სხვები ბუზუნუნთ და შურით გაიფანტნენ.

კვაჭო მოდუნუნებული ზღაზენით მიეგება იმ მზეთუნახებს და მოწიწებით, მორჩილად ემთხვია ხელზე.

— შარმეგ დე ფორტ კონსანს... პრენს კვაშანტირაძე... სილ ვუ პლე, მადამ... გარსონ... შერ მადამ, ველე ვუ შუაზირ...*)

ჩაკერეს, ჩამატერიეს, წარყენეს და შებლაღეს ნახი და ფაქიზი ფრანგული.

უხარმაზარი დარბაზი იწვის.

ფრიცები ბროლით აქუნწულული ლიუსტრა ძვირფასი აღმასივით ბრწყინავს.

ისმის ფაიფურის წყარა-წყური. ბროლი კრიალებს. ვერცხლის კასრებში გაყინული და არტახებში გახვეწული შამპანური ბროლის თასებში ოქროს წინწყლებით იწინწყლებია.

ვატბერილი სურიდან თავლის ფერი კიურასო ჩამოდის.

მუსკატი ზინავს და ქათქათებს.

ბროლის ჭიქებში ცეცხლმოკიდებული შარტრები ცისფერი ალით იწვის.

ყვითლად იწურება ანანასი, ფორთოხალი და მანდარინი.

თავისთავად დნება ყირიმის მსხალი—სენ-ჟერმენი და დიუშესი.

უზად ვაბნეულა ალანძული ატამი, ლაქაღა კალევილი, მუხანე, ყვითელი, წითელი და შავი მუსკატი, შაშლა, ჩაიშუ, ათფერი ვარი და ყვავილი.

ღოდლა კობო გაფარჩხულა, გაბობლილა. მრავლად მოსჩანს ტიტევილი ბეჭი, მკერდი, მკლავი, მხარი და აბლაბუდაში გახვეული წვივი.

ერთმანეთში არეულა ასფერი ფარჩა, ატლასი, ხაკერილი, გახა.

თვალს იზიდავს ვენეკური, ბრიუსელური, ვალანსიური და აღმოსავლური ნაჭარგი, ნაქსოვი და ოქრონემსული.

აპენტილა, აბულულებულა თმა გიშრისა, წაბლისა, მიხაკისა, ჩალისა და ოქროსი.

*) აღტაცებული ვარ თქვენს გაცნობით... თავადი კვაჭანტირაძე... დაბრძანდით, ქალბატონო... ბიჭო!.. ძვირფასო ქალბატონო, გზხვით მოიხზოვით, აირჩიოთ...

თვალსა სურის ბრილიანტი, ალმასი, ლალი, ფურხი, ზურმუხტი, ამეთისტონი, მარგალიტი, ბალახში და ლაქვარი.

თამბაქოს ბოლი ლურჯი გველივით იკლავენბა.

ყნოსვას ასისინებს თილისმურის ალურსით ნელსა-ცხებელი.

ქალ-ვაენი ერთმანეთში ჩახლართულან და ერთმანეთის სუნთქვით და ხორკით დამთვრალან და თავებრუნდ ხვეულნი, შვებით და თავდავიწყებით დასცურავენ ვაღსის თბილს ტალღებში.

ისმის ტრფობის ჩურჩული, ნართალის ოხუნჯობა, და აღგზნებული კისკისი.

მოსჩანს ხშირი ელვა სურვილით ანთებული თვალბისა.

ავი დღვით ლელავს შიშველი მკერდი. სისხლისფერ ტუჩებზე და მოელვარე კბილებზე

თრთის აღმუნი აშლილი ვენბისა. ფერეშარბილი შეღისილი და მწვევე სასმელსა-ქმლით აღსილ-აღწევილი ხორკი ემებს და ცხრომას.

აპლპილებული, აჩუხუხებულ და ადუღებულ სისხლი მოუთმენლად ელის და დაქინებით მოიხივოს შენელებას და ჩაქრობას.

გაჩაღებული დარბაზი ენების აღში და ბანგშია გახვეული.

იღრინება და მძენივარებს პირისსხლიანი, კბილაქსილი, ფავარაყრილი და ახურებულ მხეცი სიძვისა და მრუშობისა.

იწვის, დნება და ინთქმის იგი დარბაზი გარყენილების და აღვირაწყვეტელ ენებანაობის ხანძარში.

თავადი კვაჭო კვაჭანტირაძე თვალმრულული და მიზნედილი დასცურავს ბანგიან ტალღებში. ერთის წუთით იმისმა ტურფამ, მორჩილმა რებეკამ კვაჭის თვალწინ გაუღვლა, საყვედურის ღიმილით გაუღიმა და ცისფერი თვლებით სევდა მიანათა, მაგრამ იგი ნისლოვანი მოჩვენება და წუთიერი ლანდი უმაღ გდანა, გაჭრა და შთანთქა პარიზელი პრიმაღონნას ნაღვერდლიან თვლებში, რომელნიც ნელნელა სწავდა და ცეცხლს უკედნდა უკენ მიმქრალს კვაჭის გულს.

კვაჭიც მალე აწყვა იმ თვალებს, მალე მოაჯდა პირსისხლიან მხეცს, შეცურდა ბანგის ტალღებში და თავგაწყვეი ცხენივით გადავარდა მრუშობის და ენების ხანძარში.

მიხედ აღდამაშვილი.

ს ა მ ე ლ მ ჰ ი ა რ მ კ ი მ ე ნ ი

აი, გამოჩნდა აგერ ხის ჯვარი, შავ ლოდთა გუნდი ჰიმნსა ჰვალბდა. ოქროსფერ თმებსა გიწუნდა ქარი, მწარე მოთქმით რო მიგასვენებდა. გადითალხა ყვავილთა წყება, ეარღმა კანკალით დახუტა თვალი, საცაა ნისლი მილად ჩამოწვება, და გაიშლება მანტია შავი... ბაღის კარებზე მოვგლიჯე ია,

როცა ქეითინთ იცრემღებოდა.— მასთან ღიმილით შენც ჩავივლია.— საგახაუხულოთ როს ირთებოდა. არ გაუვიკრდა, ცრემლების ფრქვევით რომ დავრგე იგი ჯერ თბილ საფლავზე. მან გამიღიმა ფოთოლების რბევით და გარს მოველო რუხ-ფერ ხის ჯვარზე..

იმერელი ქალი



კატარა ფელეტონი

ს ს ს ს ს

„დურაუჯის“ კორკორაკიანი *)

მოქ. II-რე ავეტიკახთან

(ყველანი მაღიანათ შეეცკევიან)

ჯეიკა. პიტნავას ავეტიკა სჯობიან, რა გემრიელია ეს შემწეარა ორაგული. მაშარბან მოიტანეო, მაშარბანი.
კორიშელი. არა პიტნავასთან ლომი და ხარშო კარგია, სხვა ყველაფერი აქა სჯობია.

ს. ახ — ელი. რომელი ღვინო დავლიოთ, კოტე: თეთრი თუ წითელი?

ქ. მარჯ — შვილი. Для меня безразлично, წითელი სჯობიან მაინც.

დ. ჩხეიძე. ტლიმბაში იმასქნათ, კაცო.

აქ. ვასაძე. შენ, შენ.

დ. ჩხეიძე. მაშის კუმბო არ დამიდგეს, მე არ ვიმასქნა.

ჯეიკა. საშა, კაცო, შენ ყველაზე უფროსი ხარ, შენ დაიწყე.

ს. ახ ელი. კარგი, გაივსეთ ქიქები: იცოცხლეთ, კოტე. მე სიტყვას არ ვავაგრძელებ, შენ, რომელიც მოგვევლინე ჩრდილოეთიდან კენტავრათ ჩვენ, ვეფხვთა, საერთაშორისო კარნავალში, რომელმაც მარჯანის ფერის მზის გამაცოცხლებელი სხივებით ააციკროვნე ჩვენი დრო-ზოქმული, დახვსტეული ძველი ქართული თეატრი, საიდანაც საესებით განსდევნე ბუწეებ-დამძვრალი მელოტ-აღიანი დრამატურგიის ნაცოდვილარი ეროვნული პიესები, არას დროს არ დაგივიწყებს ქართულ თეატრის მემკვიდრე და კერძობა ჩვენ, მომავალი თაობა. შენი სახელი ისეთივე მარადიული იქნება, როგორც მარად მოედინება ჩვენში, ქიზიყში დურაუჯი, იცოცხლეთ, ვაგიმარჯოსთ.

ყველანი (ტაშით) ვაშა, ვაშა, საშა!

ჯეიკა. მართლა, საშა, ცხენის წყალი დიდი იქნება თუ დურაუჯი?

ს. ახ — ელი. რას ამბობ, კაცო, დურაუჯი მეტი იქნება. როცა მიღიდებულა, შენი თავის ტოლა ქვები მოაქვს.

კორიშელი. აბა, რას მიჰპარავდა „ქართ. სიტყვა“ ზავსულობით შრებაში. (პაუზა).

ქ. მარჯ — შვილი. „სულიერულნი“ სიხმარი ვნახე წუხელი: ვითომ შლამიან ჭაობში ვნაზობდი, გაურეცხელ სინიძურეში ვიყავი ამოთხუზუნული...

ვასაძე. არა უშავს რა ბატონო კოტე: „დურაუჯი“ ყოველგვარ სინიშურისაგან ვავიბნათ.

ქ. მარჯ — შვილი. Нет, серьезно страшный был сон. ჭაობის ქვემდროშნი მაკრიდენ სახეში დამალს ლორწებს... (პაუზა) სიხმარი კი არა, საერთოდ იმ დღეს აქეთ ფანტასტიკური მტყუნება ჩემი არცხობია... ჩემი ხეობარბიე „მე“ დაიბნა ამ თქვენ საქართველოს ველურებაში, რომელიც სასესა უწმინდურობით...

აქ. ხორავა. მრავალკემიერ თქვენი სიცოცხლე, ბატონო კოტე. იმ დღეს აქეთ ფანტასტიური კი არა, ნამდვილ ქართულ, ეროვნულ რეალობას დაუკავშირდა თქვენი უკვდავი სიცოცხლე, ნოემბრის 25 ქართული თეატრი თქვენ წყალობით დავიჩინეთ აუქციონში.

დ. ჩხეიძე. (ჯეიკას ქიქაზე მიურახუნებს) ჩვენ უსათუოდ თქვენის წყალობით ვაგიმასქენით, იცოცხლეთ.

დამაშვიძე. ეს სახალხოლელები ყოჩაღათ გამოგვეხმარებენ „მეც ნახირ-ნახირო“.

ს. ახ ელი. ეს უთოლდ ჩვენი გამომხსილია, თუმცა უშნო და ულაშათო მიმაძვავა, მაგრამ მაინც ჩვენ გამართლებათ უნდა ჩაითვალოს.

ქ. მარჯ — შვილი. როგორი შინაარსისაა მაინც მათი მანიფესტი?

კორიშელი. ისიც ჩვენ ყაიდზეა დაწერილი.

ქ. მარჯ — შვილი. არა, მაინც какого содержания?

აქ. ხორავა. სულ ცოტათი განსხვავდება ჩვენი მანიფესტი: მაგალითად, ჩვენსას ქვიან **მანიფესტი**, იმათ კი მოუნათოლეთ **სიტყვათ**; ჩვენი პაროლია **დურაუჯი**, მათი ნიშანი კი **ჯეირანი**; ჩვენ ვართ „არტისტი გიგი“, ისინი კი „მასხიბობ ტყვის მურქვევილო“; ჩვენ „დავფრთხეთ ფაფარი აყრილ რაშუბ“, მათ კი **ჯეირანი** სურთ დურაუჯის ნაპრალებსაკენ გასეირნება... საცოდავები, გურაუჯი არ იციან, რომ ჯეირანი ვერ მოეწყვეა რაშუბ...

ქ. მარჯ — შვილი. ჯეირანიც ვიგი მდინარეა?

ჯეიკა. არა, გარეული თხაა. (საერთო სიცილი).

ს. ახ — ელი. (სიცილით) გეტყობა, რა მოგვევლინა. (კოტეს) ჯეირანი, ეს ოთხ-ფეხი ცხოველია, ირემს წააგავს. ბლომით არიან ჩემი სოფლის მახლობელ სოფელ ნურკირანში.

ქ. მარჯ — შვილი. Вот как!.. მე ვთხოვთ მაინც რუსულათ ვადამითარგნოთ „ნაროდნი დომის“ მანიფესტი.

ვასაძე. ჩვენი „გამოსვლა“ მაინც უმსხვერპლოთ ვათავდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენი საუკეთესო ანბანაგების „ჩეკაში“ ჩაჩეკივება. სახალხო სახლში კი **ჯეირანი** ისეთი ქექა-ქუხილით და მუცლის გვრემით დაიბადა, რომ ორს შიშით ვული ვადაბრუნებია და „სკორიი პომოშით“ წაუყვანიათ თურმე „მიხაილოვსკის ბოლინცაში“.

დ. ჩხეიძე. იმე, რას ამბობ, კაცო, მაგას რავე დევიკერებ.

ვასაძე. ჩვენი გამოსვლის დროს ბრბო ძლივს ჩავაჩემეთ, იქ კი საზოგადოების მყუდროება მხოლოდ ჯაბაურმა დაარღვია თავისი ლამაზი ლექსით.

ს. ახ — ელი. განსხვავება სხვაც ბევრია.

ხმები. სიქეი, სიქეი...

ს. ახ — ელი. რა უნდა ვსთქვა, ვანა თქვენ კი არ იცით, იმ დღეს ტუჩებზე, დორბლოყრილმა ზრბომ საბოდიშო ნაწილი დაუხიანა ვასო აბაშიძის მისი სტენაზე ამოტანის დროს, სახალხო სახლში კი გოციობე უვნებლათ გადაიჩა.

ჯეიკა. ყველანი მათ იცავენ, „გორისპოლოკოს“ დაუდგენია: „სახალხო სახლის“ ახლოს მდებარე ტყეში სასტიკათ აიკრძალოს ჯეირანზე ნადირობა“.

აქ. ვასაძე. გოციობე, გოციობე! არა, ჩვენი ახალი თეატრის ოჯახი უნდა განიწმინდოს ამ ხალხიდან,

*) იხ „თ. და ც.“ № 5



მუშა-მსახიობი ნიკა გოგრიძე
(ინტერესთა თამაში)

შ. შარაშიძე. ვისურვებთ „ეიკლიპოდი“ და „პაუ-
პაით“ თქვენი ზამთარ-ზაფხულ დასურბობელი „დღურუ-
ჯის“ თოსნობით, მარჯვნიდან მარცხნივ გადახრილ ქარ-
თულ, რევოლუციონურ თეატრის აშენებას. თქვენ კი,
ბატონო კოტე, თქვენ ძლიერ ყნოსვას არ ეგრძნოს სი-
მდამლე ძველი თეატრის და სიმყარე ზურგ-მოლოციტო-
ძველი მსახიობების. განაგრძეთ თქვენი ლამაზი საქმე-
ქიმ შტოკმანობა, ძირს ქალბატონი ხალტურა!

კ. მარგ- შვილი. მე კარტული კარგად არ ვიცი,
მაგრამ, როგორც ვიცი, ისე ვთქვამ: მე მახარებს თქვენი
მოსაღმება და მავიწყებს იანვრის 29-ს აღრიალებულ
ბრბოს. ამიერიდან მე ვეცდები დავიცვა *равномерие* და
გავარჩიო ბრბოში ის იუმორისტები, რომელთაც გათახ-
სირებული ღიმილი აკრავთ პირზე და ავრთვე წვერებ-
შეკრეპილი ის ქართველი ინტელიგენტი რომელსაც ჰერ-
ლინდიური ნიშანი ბუბლზე ჰგონია პატენტი კულტურული
ადამიანისა. ძირს დახვესებული ძველი ქართული თეატ-
რი, ვაუმარჯოს „დღურუჯულ“ თეატრს. (ატყდება საერთო
ჩიჩქოლი, ხმაურობა, აურ-ხაური).

ავეთიქა. თქვენი ჭირიმეთ, ნუ დამლუპავთ, 11 საათს
იქით არ მაქვს „პრაყო“. გამისწორეთ „შოტიკი“.

ს. ახ-ელი. ავეტიქას საღვებრძელო ექსტრათ,
იცოცხლე ავეტიქა.

ავეთიქა. გმადლობ, გასპადინ ტავარიჩი! (გვერდზე
აშხანავს) დავილუპეთ, ჰენც ფულს არ გვაძლევენ!

ჯიქია. რამდენია სულ?

დ. ჩხეიძე. რამდენიც უნდა იყოს, არა უშავს რა,
დემიანსოვრე ხვალემდე, ხვალ შემოიარე თეატრში, მიე-
მსქენავ ანგარიშს. (ხელი-ხელ ჩაკიდებული გავუნ).

ავეთიქა. (სახტად, გამტკნარებული) დაინახსოვრეო!
ვაჰ, თქვენი პირის ზიარება... აი, თუ არტისტები არიან,
ჰა!..

გრი.

(შემდეგი სცენა დღურუჯის მიდამოებში, ზაფხულში)



უბედურება, დ. კლდიაშვილის პიესა აკადემიურ თეატრში



დავით კანდელაკი

სახალხო განათლების კომისარი, სახელოენო კომიტეტის თავმჯდომარე

შუბლ პერიკლი

რაზინდარანთ თავორედან

ინდრა *)

ღრუბლები წვიმის წვეთებათ ეშვებიან მიწაზე დასარჩენათ...

უცნობია საიდან მოდიან ქალები მიწით დატყვევებულნი რომ ხდებიან.

მცირეა მათი სამყარო და ცოცხანი ცხოვრობენ ამ სამყაროში.

მიუხედავათ ამისა ყოველივე თავსდება მის ფარგლებში: ბედი, მწუხარება, შვითი.

ამიტომ ახურავთ ქალებს ჩადრი, ამიტომ იკეთებენ მკლავებზე სამაჯურს. ამიტომამა მათი ეზო მესერიით შემოვლებული.

თვითეული მათგანი ინდრაა საკუთარ ვიწრო უღელმის.

ოჰ, ეს მეზობლის ქალი.

დაბადებითვე ცუდი და მოუსვენარი. დედა გაჯაგერებით უფარანისაჲ-ს რომ ეძახის და მამა დაცინვით „მაცლურ“-ს უწოდებს, რომელი ღმერთის მხიარულ ღიმილს მომაგონებს?

ჩანჩქერის ზვირთებს წააგავს იგი, მისი მკვრიდი მუდამ ორთის როგორც ფოთოლი ღერწამის წვერზე.

დღეს იგი ვერანდის მოაჯირზე დაყრდნობილი, ცისარტყელის წააგავდა. ჩვეულებრივ არ ჰკრთოდა დღეს მის დიდონ შვე თვალებში მხიარულება, იგი უფრო მოღრუბლულ ამინდში ხის ტოტზე მჯდომ ფრთებ დასველებულ ჩიტს წააგავდა.

*) ინდრა—ცისა და ატმოსფერის ღმერთია ინდურ ძველ რელიგიაში.

აუტანელი სიციხე იყო რამოდენიმე დღე გაფორმკრთალდა ცა და ფოთლები უიმედოთ ჩამოხმენ.

უცნობი გაშალა კალთა კიდით კიდედე შეიმაღრუბლებმა: უკანასკნელმა ჩამავალმა სხივმა ისე გიგანურ როგორც ქარქაშიდან ამოწვილიმა ხნაშიმა.

შუალამისას თრთოდა სახლის ფანჯრები, კარები... ქარიშხალმა შეაშფოთა მძინარე ქალაქი.

ქუჩაში, წვიმის ხშირ წინწყლებში ფარანი ანათებდ მსგავსად ლოთის ანღერეულ გამომეტყველებისა.

ზარის ხმა ისე ისმოდა, თითქოს წვიმის წვეთებში იყო გახვეული.

ღლით გაძლიერდა წვიმა. სწორედ ამ ცუდ ამინდში იდგა მოაჯირზე დაყრდნობილი ჩემი მეზობლის პატარა ქალი.

როდესაც და მივიდა მასთან და უთხრა: „დედა გაძახის“, მხოლოდ თავი გააქნია ისე, რომ თმები აეშალა. მივიდა ძმა. ქალადის გემი ეჭირა ხელში. სათამაშოდ იწვევდა, არ ეშვებოდა.

განრისხდა ქალი, ძმას სილა გაართყა. წვიმიდა. იკუბრებოდა.

ქალი იდგა გარინდებულ.

საუკუნეთა განთიანებზე, შექმნის დასაწყისს, პირველი სიტყვა უთუოდ მდინარისა და ქარის ენით აღმოხდა და დღესაც რამოდენიმე ათასჯერ მილიონ წლების შემდეგ ამ სიტყვამ, რომელიც არ ემორჩილება დროს დავიწყებას, წვიმის წყნარი ხმით გამოესაუბრა მის სმენას და მოუწოდა.

ისიც დამეორჩილა ამ ძახილს, შთაინთქა უსახლეროებ ში.

რა დიღია დრო. რა დიღია ქვეყანა

რამოდენმა საუკუნემ განვლო, და რამოდენ გვარად თამაშობდა სიცოცხლე დედამიწაზე.

მთელი სამყარო, მთელი დიდება იცქირებოდა იმ დღეს ამ პატარა. თვით ნება ქალის სახეში ღრუბლების ჩრდილით და წვიმის წყნარი შრიალით.

ამიტომ იდგა იგი უძრავად დიდრონი გაშლილ შავი თვალებით—როგორც სახე უცვლადეებისა.

მის. ბოქორიშვილი

მ რ ი ს ა ხ ე ლ ი

ჩემი სურვილი ქარმა დაფანტა, მამე ქალაქში სთესავ: შაცილებს.

მეთამაშება როგორც ინფანტა და ოთახისკენ ვიღაც მაცილებს.

მთვარის ღიმილი ვარსკვლავებს ათივს და მღუმბარეა ზეცის სიშორე...

მისი ღალატე სიზმარშიც მახსოვს, რა ექმა, გულიდან ვერ მოვიშორე:

ამ ჩვეულების უკედავად ვიცავ: ჩვენს შორის თუმცა დავშვა ფარდა.

იმის ორ სახელს მინც ვიფიქრავ: სხვა არაინ მსურს შე იმის გარდა!

შალვა ინტოფელი

მწერალი ქალი

ერისთავი-ხოშტარია, ანახასია გიორგის ასული—

მწერალი ქალი და საზოგადო მოღვაწე, მეუღლე დღუტ მგერელისა, დაიბ. 1868 წ. 3/II კ. გორს. მამა მისი იყო ქართლის თავადი შვილითაგანი, რუსეთშიც ცნობილი, დედა— ელისაბედ. ზ. ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული. აკენიდანვე აღსაზრდელათ აიყვანეს მისი დედის შრომატობა, რომელზეც კარგად იცოდნენ ძველი მწერლობა-ისტორია და ბავშვზე დიდი აღზრდლობითი გავლენა იქონიეს. დაასრულა გორის პროგიმნაზიის 4 კლ. (აქ ქართულ ენას ასწავლიდნენ ჯერ. ცნობ. მ. პ. კიფიანი, შემდეგ—ნ. ლომოური). ცხოვრობდა ს. ფეკუაში, ქართლს. თვითგანვითარებასთან ერთად მწერლობდა, ამავე დროს სოფლის ბავშვებს ასწავლიდა. 1897 წ. მეუღლეთ შერთო დღუტ მგერელი. ამის გამოერთანს ცხოვრობდა სამშობლოს გარე—ოლთისის, ნახიჭევანს, ერევანში და ყაზახს. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1885 წ. საყმაწვე. უფრ. „ნობათა“-ში (დაბეჭდა მოთხრობა „ბესიკ“), შემდეგ „კვ“. მოთხრ. „ბატონებმა არ დაიწყო“). მწერლობის პირველ ნახიჯადნვე მფარველ-წამაქმნებლად მოეცლინა აკაკი. ამის შემდეგ განსაკუთრებით მწერლობას მოჰკიდა ხელი და მკლე დიდი რომანი „მოლიბულ გზაზე“ გამოაქვეყნა („მომა“. 1896-97 წ., ცალკე გამოქ. საზღვრ. პიესად გადაკეთა ე. გარბიათა, —თეატრი და ცხოვ. 1916 წ. № 15—17, 20—21). შემორჩენსენებულ ნაწარმოებთა გარდა დასწერა: „ლაზარემ გადააქარა“ („კვ“. 1893 წ.), „მეტი ღონე არ არის“ (იქვე. 1896 წ.), „აგრა“ („მომა“ 1901 წ.), „კამისია“ („ივ.“), „ბედის ტრიალი“; „დღეები“ (ჩვ. კვ. 1908 წ.), „დარისპან თარაშელი“ („ფასკ.“ 1909 წ.), „სიკვილის აჩრდილი“ („სახ. გაზ.“ 1914 წ.), „ეკლესიის გარშემო—მამა იოსები“ („ქართ.“ 1919 წ.), „მიწა“ („მიწ.“ მ. 19—2 წ.) სწერდა საყმაწვილო მოთხრობებ „საქ“ („ჩვე.“ და „ნაკ.“). გამოცემულია 3 ტ. მ-ს შემოქმედება განიხილეს: ა) მე ვახლავარამა-მ. ნასიძემ („ივ.“ 1897 წ.), ბ) ივ. გომარბებმა („აღ.“ 1918 წ.), გ) ალ. ხახანაშვილმა (ქარ. სიტ. ისტ. ქართ.-რუს. გამოცემაში), დ) ალბონისმა („ლომ.“

1922 წ. № 16), ე) ე. გარბიამ („ტრიბ.“ 1923 წ.), ვ) შ. აუხაბიძემ („ბახტ.“ 1923 წ.) და სხ.

მ-ს თავის რომანებსა და მოთხრობებში ქართველთა ყოფა-ცხოვრებას ვეისურათებს. შექმნა ქართველი ქალის ძლიერი ხატება, დიდის სიძლიერით დაახასიათა ქალის დედობრივი გრძნობა, რომელსაც მანამდე არც ერთი ქართველი მწერალი ქალი არ შეხებია. ასენიჭირაჯდ; პირველმა დაახასიათა სამეღვლეობა სრულის ანანდელით. ნაწერები მისი მრავალფერ-სურათიანია. ადამიანთა საერთო ბედნიერების დასამყარებლად აუცილებელ პირობად მიანია ქონებრივ-წოდებურ უთანასწორობის მოსპობა და საერთო სიყვარულის განმტკიცება. მისი ღრმა რწმენით, სიყვარულმა მდიდარ-ღარიბი არ იცის, სიყვარული თავისუფალი გრძნობა და წინ ვერაფერი ვადელითება. გლენთა ცხოვრებიდან ამოღებულ მოთხრობებში გვიჩვენებს გლენთა ქონებრივ დანაწევლებას,—ერთის მხრივ შეძლებული, მდიდარი გლენი, რომელსაც თავისივე მოძმე ღარიბი გლენი თავის შესადაოსად არ მიანია, მეორეს მხრივ ღარიბი, რომელსაც დაუზარელი შრომა სავალდებულად მიანითა და ამ შრომაში ჰპოებენ სიამეს. ნიჭიერად დაასურათა თანდათან როგორ ირღვევა გლენის ქარაქტერი ცხოვრება ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ცოლქრობის შესახებ, როგორ იმარჯვებს თავისუფალი სიყვარულის გრძნობა, რომელიც ერთადერთი საფუძველია ცოლქრობის ბედნიერი ყერის შესაქმნელად. მწერლობდა გარდა. საქმიოაც ერიოდა საზოგადო საქმეებში. გორში მოადგინა ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“, რომელშიც ერთი წლის განმავლობაში მოეწყო უფასო საანბანო სკოლა, საკვირაო სკოლა, სასაღილო, თავშესაფარი, პატარა კომპერატევი და საჩაიე. მ-ს აზრით, ქართველ ქალთა შეკავშირება, გათვითცნობიერება და შეგნებული შეერთებით თვითმოქმედება გამოვციყვანს იმ ღებჭირ მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით, და ყველა დანახავს, რომ ქართველი ქალი არ მომყვადარა.

(იოსებ იმედაშვილი.—ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი—დან).

„ახალი კლუბი“

ომში დაქრითლა შრომის ატელმა აღადგინა

თავ არ ახსოვს „ახალი კლუბი“, ყოფ. ქართულ თეატრთან მოთავსებული?

ეს იყო დიდი კულტურულ-საზოგადოებრივი ყერა მდიდარ წიგნთსაცავ-სამკითხველოთი: იქ იმართებოდა წარმოდგენა-კონცერტები, საღამო-ლექციები... მუნ იკრიბებოდა ქართველი და უცხო საზოგადოება სულიერ წყურვილის მოსაკლავად.

და ეს თავსარებულ ბოლო ხანებში თანდათან დაეშო, თითქო უპატრონოა.

უკანსკელად გამოჩნდა პატრონი,—ომში დაქრითლა შრომის არტული „ახალი წრე“.

უზომო ფული დახარჯა ამ წრემ ვალვარცილი შენობის ხელახლად აღსადგენათ და გასამშვენიერებლად.

მოკლე ხანში აქ ისევ გაჩაღდება კულტურული საქმიანობა: დაიწყება წარმოდგენები, კონცერტები, ნაირო ვრონერული გასართობები.

ამგვარად ის, რაც ღრო-ჯამმა გააცამტყერა, ომის ინვალიდებმა ვანახლეს, რომელნიც ორ მიხანს ისახარენ: საკუთარი შრომით თავის რჩენას (რათა სხვას არ დააწვენენ კისერზე) და საზოგადოებრივი საქმიანობის გაჩაღებას.

აქვე აპირებენ ქართული დრამატ. და საპოპოლო დასის მოწვევას.

გაუმარჯოს მათს მიხანს!

უსუფ. ხან.



[**ძანდაქება**.—გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 6.]

ნინო. (ვეკლუცად თითს დაუქნევს) თავი კი არ გა-
მიდიოთ! სინათლეს ყოველთვის ბნელიც ახლავს. სამაგი-
როდ კბილები ცუდი გაქვთ.

არჩ. (საჩქაროდ ხელსახოცს ტუჩებზე მიიფარებს)
ქალბატონო ნინო!

ნინო. თუ ქება მოგწონთ, ძაგებაც უნდა აიტანათ.
(იცილით) დღმერთო ჩემო, როგორ გაწითლდით. ლევან!
უფრო როგორ გაწითლდა! ლევან! შენ გელაპარაკებ!

ლევ. გაწითლდა? მართლა გაწითლებულა. (გაზეთის
კითხვის განაგრძობს)

(ნინო წამოდგება და აღელვებული ოთახში
სიარულს დაიწყებს. არჩილიც წამოდ-
გება.)

არჩ. ეხლა კი ქვეშარიტად დროა, დიახ, დროა. ნე-
ბა მიმოძეთ გამოგმწვინდობთ.

ნინო. (ხელს გაუწოდებს) კარგი, განთავისუფლებით
თქვენს ნაცნობს კომერსანტს გადაეცით, რომ ლევანს
ხელზე შეუძლიან დაიწყოს ბიუსტის გამოქნადაცება, აენ-
სის შესახებ თქვენ თითონ მოელაპარაკეთ.

ლევ. ნინო!

ნინო. (მტკიცედ სიტყვას გააწყვეტინებს) მე ასე
მსურს.

არჩ. (ლევანს) ძალიან სადა და უბრალო კაცია.
ყველაფერს მე თითონ მოვაწყობ. თქვენ არც კი შე-
გაწუხებთ.

ნინო. (ქმაყოფილი ღიმილით) თქვენი იმედი მაქვს,
ბატონო არჩილ. ლევანს თუ შეგობრები არ დაეხმარნენ,
სიმშლით მოკვდება.

ლევ. ნინო!

არჩ. ვიცი, ვიცი მაგისი მოკრძალებული ხასია-
თი, არ ეხლავ, გამოფენაზე ლევანის ქანდაცება საუკე-
თესო ნაწარმოებია, დიახ, საუკეთესო ნაწარმოებია, ამას
მარტო მე არ მოვახსენებთ, თქვენი ქება ბუერისგან გამი-
კია, ვახუთებში კი კონტო არ იმისი. უნდა მოვახსენოთ,
რომ ყოველ ნაწარმოებს, ყოველ მატყვარს თავისი ქო-
მაგი ჰყავს. ლევანი კი როგორღაც დაჩრდილულია, დიახ,
დაჩრდილულია.

ნინო. თუ თქვენი დანაპირებს შეასრულებთ, დაჩრ-
დილული აღარ იქნება.

არჩ. მე მუდამ მზით ვახლავართ სამსახურისათვის.

ლევ. (გაოცებული ხან ნინოს უცქერის, ხან არჩილს)
რა უნაურთაო ლაპარაკობთ. სიხმარში მგონია ჩემი თავი.
რა ჭკმავეი, რის ქიმაგი!

არჩ. რას იზამთ, ბატონო ლევან, დროა ასეთი. უც-
ხოეთში, მოგეხსენებათ, რედაქტორების წრეში ეტრია-
ლებდი, დიახ, რედაქტორების წრეში. განათლებული ეე-
რობა მაგნარი საშუალებებს არ ერიდება. პირიქით, იქ
ვერც წარმოიდგენენ, როგორ შეიძლება ადამიანმა ადა-
მიანს მეგობრული დახმარება არ აღმოუჩინოს და ქება
არ შეისხას თავისი მახლობელის ნაწარმოებს.

ლევ. (გაოცებული შესცქერის) დიახ, დიახ. მერე!

ნინო. მერე ის, რომ თუ დროზე ზომები არ მიიღე,
შეთანხმებულე ყოფინა შენი მოწინააღმდეგეებისა დაგასა-
მარებს და პრემიას სხვას მისცემენ.

არჩ. ეს კი სამწუხარო იქნება, დიახ, სამწუხარო
იქნება. დრო კი მიდის. თქვენი კონკურენტი ახალგაზრ-
და კაცია, ენერგიული და მხნე. იმდენსა ცდილობს, შეი-
ძლება თავისი გაიყვანოს, დიახ, შეიძლება თავისი გაი-
ყვანოს. ეს სამითივე დღეა, ზედი-ზედ წერილები იბეჭ-
დება იმის ნაწარმოების შესახებ, (დაბალის ხმით) ფე-
გენტრერებსათ, შემოძლიან ვითხრათ კიდეც, ვინა წყურს
იმის ძალიან მახლობელი კაცი სწერს, დიახ, ძალიან მახ-
ლობელი კაცი სწერს, ნიადაგს აზნადებენ.

ნინო. ხომ ვესმის ლევან!

არჩ. ცოტა დრო დარჩა, მაგრამ მაინც ვეცდები,
რითაც კი შემიძლიან, დაგეხმაროთ.

ნინო. დიდათ დამეველებთ.

არჩ. (ნინოს ხელზე აკოცებს და მერმე შორიდან
თავს დაუკრავს ლევანს, რომელიც არჩილს არ უცქერის)
მშვიდობით ბრძანდებოლით!

ნინო. ლევან!

ლევ. (მობრუნდება) მშვიდობით.
(არჩილი გადის. პაუზა.)

ნინო. (ლევანის პირდაპირ დაგდება და ნერვიულად
ხელსახოცს ათამაშებს) რას ნიშნავს ყველაფერი ეს, ლევან!

ლევ. რა?

ნინო. შენი უზრდევლობა.

ლევ. არაფერი მესმის!

ნინო. ნუ თუ მიიღე საათის განმავლობაში ერთი
სათქმელი სიტყვა მაინც ვერ მოვაგონდა. უბრალო ზრდი-
ლობისათვის მაინც დაელაპარაკებოდი.

ლევ. რა საჭირო იყო, შენც კარგათ ართობდი.
ყოველ შემთხვევაში თვით არჩილი ქმაყოფილ დარჩა.
შენ რა გაწუხებ?

ნინო. ის, რომ შენი უხეში ქცევით აფრთხობ ყვე-
ლას, ვინც კი ცოტად თუ ბევრად უზრადლებით მეყრობა.
როდისმე ბოლო უნდა მოეღოს თუ არა მაგ შენს ვე-
ლურობას.

ლევ. თუ უკვდებიან ხარ, წყავი! ჩხუბისა და
უსიამოვნებისათვის არავითარი საბუთი მომიცია.

ნინო. წახვალ? სად წახვალ? შენ მოვალეობას ვერ
სად გაექვეცი. (მცირე პაუზის შემდეგ გამოწყვეის კილო-
თი) ფული მინდა.

ლევ. რაცა მჭონდა, მოგეცი. მეტი აღარა მაქვს.

ნინო. სამკამრისი არ არის, გუშინ რაც ფული მო-
მეცი, მასხურმა და მზარეულმა ჯამაგირის წიაღეს, ხელ
ფული მჭირდება.

ლევ. აღარა მაქვს.

ნინო. იშოვნე.

ლევ. როგორ ვიშოვნო? ხომ ვერ მოვიპარავ?

ნინო. ავენსები აიღე.

ლევ. კომერსანტის ავენსი!...

ნინო. (ამაღლებულის ხმით) დიახ. დიახ, დიახ კო-
მერსანტის ავენსი. ავენსზე უარს ის ამბობს, ვისაც ჯიბე
საცხე აქვს. შენისთანა ჯიბეგაფხეკილი ადამიანისთვის
კი მეიღებურება ოჯახის დაღუპვას ნიშნავს. ქვეყანა ასე
ცხოვრობს, შენც უნდა იცხოვრო. ნუ დაგაგიწყდება, კი-
სტრზე მოვალეობა გადევს; ვერსად გაექვეცი.



ლევ. მოგონება საჭირო არ არის, ამ მოვალეობის სიმძიმეს ისეც კარგავთ ვგრძნობ. დღემდის წინ არ გადავგომებდებივარ და არაფერი ხელი არ შემოწლია. ოჯახი მოწყობილი გაქვს ისე, როგორცა გსურს. ერთად-ერთი სფერო მაქვს ჩემთვის შემოვარგვლული—სახელოსნო. უკანასკნელ დროს იქაც შემოიჭყერი. ვეცადე ამ სახელოსნოში და შენის ბრძანებით ვიღაც ვივიზიარების ბიუსტებს ვაქანდაკებ. სხვა რაღა გინდა? მოთხარი, სხვა რაღა გინდა?

ნინო. პრემია შენ უნდა გერგოს.

ლევ. მე შევქმენი ნაწარმოები. მთელი ჩემი სული-ერი არსება, მთელი ჩემი ნიჭი ამ ნაწარმოებს ჩაეჯსოვებ. გამოფენაზე გამოვიტანე მსჯავრის დასაღებად. მეტი აღარაფერი შემძლიან. გაზეთის წყაროლფება რობორტიორებას და რეცენზენტებს ვერ მოვისყლი, რომ ჩემს ნაწარმოებს ხოტუა-დიდება შეესხან. ასეთი საქციელი ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. შეძილება ცისფერი თვალები...

ნინო. (სიტყვას გააწყვეტინებს) ცისფერ თვალებს თავი დაანებებ. თუ იმდენი არ შეგიძლიან, მაღლიერი იყო ადამიანის, რომელიც სრულიად უნავაროდ გაქმსახურება და ცილობს სახელი და დიდება არ დაგეკარგოს, მაშინ დაწმუდებ მაინც, ღიან დაწმუდებ.

ლევ. (ამაყად) ქუჩის ნაწარწალა ჯენტლმენების გამოსარჩლება ლევანის ნაწარმოებს არ ესაკირობება. რეცენზენტებმა რამდენიც უნდა ჩააპონ. ჩემი ქანდაკება მაინც ვარსკვლავივით ანათებს გამოფენას და შობილავს ყველას, ვისაც ხელოვნებას რამ ვაყვება. სანამ მარჯვენა რამ გამზიბია და მარჯვებში სისხლი არ გამყინვია, არჩილისთანა ცერკეტების გამოკომბეგება ხელოვნებისა და მთელი ჩემი საუკეთესო, უსათუთესი გრძნობების პროფანაცია იქნება.

ნინო. (ბოროტი დიმილით) რა თქმა უნდა. ან მე, ან არჩილი, ან სხვა ვინმე როგორ შეედრება იმას, ვისაც განსაკუთრებული ნიჭი აქვს ხელოვნური ნაწარმოების დაფასებისა. მაგრამ ის კი არ ვიცი, რა უფრო მომიზიგვლიან: ნიჭი თუ იმამზი თვალები.

ლევ. როგორ?

ნინო. მას შემდეგ, რაც ელენეს დაუმეგობრდი, აღარაფერ აღამიზნებ არ მიგაჩნია. არ მეგონა, თუ გუშინ-დელი ბავშვი საქმეზე ასე ადვილათ გულს ავიცროლებდა და შენს ჭლარა თმას არ მოფრიდებოდა.

ლევ. ნინო, კმარა! ადამიანის მოთმენასაც სახლვარი აქვს.

ნინო. და როდესაც მოთმენა სახლვარს გადასცილდება, იგრილობს ზეცა, ქვესენილიდან აღი აღმიზიბება, კეტა-ქუხილას და გრივალში შოაინქება ბიძიჭრი ასკობობობა. ხა, ხა, ხა. ხომ ხედავ, მაღალ ფარელებში ისეც მეც შემოხლებია ნუ გგონია, ტკეპნით თაბაბაჩე მარტო იმან იცოდეს, ვისაც ლამაზი თვალები აქვს. ზოგჯერ ჩვენც, უბრალო მომაკვდავეებსაც შეგვიძლიან, პოეტურად დაველიაბრაყოთ.

ლევ. ნინო! მთელი ჩემი არსება, მთელი ჩემი ბუნება დაემიზიზიჯე. საუკეთესო მისწრაფებანი სულის ჩავიკალი მხოლოდ იმტომ, რომ ოჯახური მყუდროება არ დამწრღვია და ცხოვრება ჯოჯობებთან არ გადამიქცია. ნუ დასცინი, ნინო ნუ დასცინი ამ თავ-განწირულებას,

მოკრძალებით მოგეყარი გულის სისხლში ამოვლემულ მწუხარებას.

ნინო. შენ, შენ კი მოკრძალებით ეყრობი ჩემს მწუხარებას! მას შემდეგ, რაც ელენე გაიცინი...

ლევ. ნინო! თავი დაანებე ელენეს, ჩვენს ოჯახურ დავაში იმის სახელს ხუ ურცე.

ნინო. ღიან, სწორედ მას შემდეგ, რაც ელენე გაიცინი, ავადმყოფური მედიღურება დაგჩემდა და ყველას დასცინი. მეც დამცინი; (ამაყად) მაგრამ იცოდენ, დასცინის ხალისს მთელ დაგეკარგავთ შენც და იმასაც. რასაც ქუჩის ჩემს ოჯახში ქურდულად შემოიპარის და თვის ჭკუაზე გატაროს.

ლევ. დაუმსახურებელ შეურაცხყოფას ხუ აყენებ ადამიანს, რომელსაც ხეირიანად არც კი იცნობ. მოიცილე თავიდან ქალის ვე მძაბალი თვისება სხვის გულში ფათურისა.

ნინო. შეურაცხმე, შეურაცხმე. უმაღლესი სილამაზის მადიებელთა წრეში, აღბათ, ავრე იციან ცოლის პატიოსნება. მძაბალი მე კი არა, ის არის, ვინც თავის მოვალეობას ასე ლაჩრულად გაუბრძის და ასპარეზს უბრძოლველათ მოწინააღმდეგებს უთმობს.

ლევ. შენ ყველამ მოწინააღმდეგენი გელანდებანი.

ნინო. კი არ მელანდებანი, არიან. გაახილე თვალები და დიანახავ, როდესაც არჩილის სამსახურზე უარ ამბობდი, უნდა გეცოდინა, რომ შენს წინააღმდეგ ამს ხედრებული არიან ისეთი პირები, რომელსაც შეუძლიანთ კალმის ერთი მოსით მოგსრიონ, მიუასათან გაგასწორონ. წარმოდგენილი გაქვს, რა უბედურება იქნება-პრემია შენ რომ არ მოგეცენ.

ლევ. ეგ შეუძლებელია! ჩემი მზე ჯერ ისევ ბრწყინვალედ კაშყავება და გზას უნათებს მიმავალს. ნგრეებითა და მშფითაირე გულით შექმნილი ნაწარმოებს კალმის უბერიო წრიაკებანი ჩრდილს ვერ მიაყენებენ. დაე იყავანონ, ქანდაკება მაინც გაიმარჯვებს...

ქეთინო. (აღელვებული შემოიღის. ხელში გაზეთი უქირავს. ვადაფთორებულაა) მამიკო, მამიკო!..

ლევ. (გავყვირებული) რა იყო? რა მოხდა?

ქეთ. ზურაბმა მოიტანა... ქეთურის პრემია სხვისთვის მიუღიათ

ლევ. (გადაფთორებული) რა! რაო? რა სთქვი? (სკამზე დაეშვება და გაოცებული ქეთინოს შესცქერის).

ნინო. (ჩურჩულით. ავიღებელი) ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! მელიორ პაუზის შედეგად ელისვისი მიუსჯიათ!

ქეთ. ვიღაც ახალგაზრდა მხატვრისათვის. აი, რას სწერენ: კომის ერთადერთი ძლიერი კონსურენტი იყო ლევან ორბელი. მაგრამ ამ უკანასკნელის ნაწარმოებმა შევლებურათ გვიღო მოხიბობა საზოგადოება. მთელ მის ძემოქმედებას რაღაც დალილობა ემჩნევა. ათარ არის ძველმეფური ენტუზიაზმი და ვატაკება. აღარ არის ის ჯალინსური ძალა, რომელიც მცდარ მარშირობის აცოცხლებს და ხელოვნურ ნაწარმოებათა ხდის. ამ მხრივ ახალგაზრდა მოქანდაკემ მეტი უნარი გამოიჩინა და ცნობილი ლევან ორბელი დარბოდია. ვფიქრობთ, ეს დროებით მოგვინა უნდა იყოს. ლევან ორბელი, აღბათ...

ნინო. (კითხვას გააწყვეტინებს) კმარა. (სკამზე დაეშვება და ლევანს ჩააშტურებულ) ლევან, გესმის?

ლევ. (ურულ მესმის, მესმის!..)

ქეთ. (ლევანს წინ მუხლებზე დაეყვება და ქეთინოთ თავს უზღლებს) ჩაუღლეს! მამიკო, ჩემო მამიკო!..

ლევ. (თმაზე ხელს უსვამს, სიგრძეს გასცქერის) შენ რაღა ვატყობებს, შვილო? შენ რაღა ვატყობებს (პაუზა).

თამარი. (შემოდის) ჩაი მზათ აიის. (დიდი პაუზა).

ჩვენი თეატრის ავ-კარკი

ყოველ გზაჯვარედინზე გავიხაზით: ერთადერთი ადგილი, სადაც შეგვიძლია დავისვენოთ ხორციელად და სულიერად, კვირაში ერთხელ მაინც რამდენიმე საათით შევბას მივცეთ თავი, ჩვენი ჭირ-ბოროტის გარეშე დაფრეთ,—ესაა ჩვენი თეატრი: იგია ჩვენი ცხოვრების კრიალა სარკე, ჩავიხედოდა და დავიხსახეთ შიგ ჩვენს ნამდვილ სახეს, ავ-კარგავინაობას. იგია უმაღლესი სკოლა, რომელიც ჩვენი გინების საღაროს აფაქიზებს და ამდიდრებს; მან შეგვიანჩუნა ენა, ეროვნული სახე და სხ.

თუ ეს ასეა, მაშინ მასში უნდა შევდიოდეთ მოწიწებით და მოკრძალებით, ყველა ერთნაირად, ურთიერთის ხელშეშეშულად ვიხედებოდეთ ამ დიდ სარკეში.

უნდა შეიქმნეს ისეთი პირობები, რომ ხელოვნების ამ წმიდა ტაძარში სალოცავად, სულის გასაფაქიზებლად ყველა შედიოდეს და ხელი არავის შეუშლონ მოქმედების დროს; დამწერსაც უნდა შეეძლოს გულისყურით მოისმინოს ესა თუ ის პიესა, ჩასწვდეს მის გულის სიღრმეში. ეს საქირია განსაკუთრებით დღეს, როდესაც ქართული თეატრის რეპერტუარში მოქცეულია თითქმის სრულად უცნობი პიესები, რომლების შინაარსს წინასწარ ვერ ვცნობთ. გარდა ამისა, საქირია შეიქმნას მტკიცე წეს-რიგი, რომ თავაშეებულ უსრულელობით არავის თავმოყვარება არ ილაზხოდეს და ყველას შეეძლოს აღმანიურად მიხაზვის თეატრის დარბაზის კარამდღ.

1917 წ. — რევოლუციის პირველ ხანაში, როდესაც თელი რუსეთი აბოპოქრიტულ ზღვას წარმოადგენდა და ახლად მოპოებული „თავისუფლება“ თვითუღს გამოქალაქებულ თავისებურად ეძლია, მე დავესწარ მისკოვის მხატვრულ თეატრის სამს წარმოდგენას. ჩემს სიკოცლებში არ მიგრძენია ისეთი სულიერი ემაყოფილება, როგორც ამ წარმოდგენებზე. სამჯერვე თეატრის დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. ამ ზღვა ხალხს თავი ისე ჰქონდა შეკავებული, გეტყვობდათ ცხვირის დატყვინებაც კი აკრძალულიაო. როგორ შეიძლებოდა ტაშის დაცერა, მსახიობების გამოძახილი, დაჩურჩულება. მოქმედების დროს ისეთი სიჩუქ იყო გამეფებული თავიდან ბოლომდის, რომ ბუხის ვაფრების ვაიგებებით, ტაშის დაცერა მსახიობ რაკტემშიაც არ იყო დაშვებული. აი რა უწყობდა ხელს, რომ მხატვრული დადგმა მართლაც მთლიანი ყოფილიყო და შესაფერის შთაბეჭდილებაც გამოგეტანა.

ამდინად გვაქვსყოფილებს ამ მხრივ ჩვენი თეატრი და რა ხდება დღეს იქ?

დავიწყით თუნდა კასიდან: თეატრში თვითუღს შემსულოვანს არა ერთი მუჯღუფუნი მოხვდება, ვიდრე ბილეთის აღების მოახერხებდეს. აქ უწამწური ლანძღვა გინებთა ყურები გექტებოდა. შესავალში, მსახიობი სპექტაკლიცა გახუტრებულ ბილეთებზე. ვაბა-სოფლიდან რამდენიმე დღით ჩამოსულს არა აქვს საღსარი დავსწროს ტვლისის წარმოდგენებს.

იანვრის 21 „სინათლე“-ს წარმოდგენის დროს კასასთან ხალხი იქულიტებოდა. ჩემს ახლო იდგა სოფლიდან ჩამოსული ახალგაზდა. ვიღამაც (აღზად თეატრის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა) გამოაცხადა: კასაში 68

მილ. ნაკლებ ფასიანი ბილეთები აღარ არის და ვინც იათსიანი ბილეთების სყიდვას აპირობს, ტყუილად წუ იცდისო. შეიქნა ჩიჩქოლი, ჩემი მეზობელი გლეხი ფეხსაც არ იცვლიდა. ბილეთის სასყიდლად დაბლუქული ფული ხელში ეჭირა. რამდენიმე ხმამ აქეთ-იქიდან მიამხნა გლეხს: „აბა რას სდგებარ, გასწი აქიდან, შენ ხომ ასე ძვირად ბილეთს არ იყიდი“—ო.

— შენ რა იცი, რომ ას მილიონსაც არ მეცემ ბილეთში? თქვენ ყოველდღე ხედვით ტელისის წარმოდგენებს, ერთხელ მეც მომეცით ნება აქაურს წარმოდგენას დავესწრო, თელეთიდან მოვსულვარ ამისთვისა“—ო.—მეცხედ მიამხნა ქალშობიანმა და ჩააწუმა არამეტივები.

ეს აწლვაგზრდა ჩემს გვერდით იჯდა პარტიული და გაოცებული ვიყავი, რა გულმოღვინედ, უჩემრად უსმინდა წარმოდგენას.

რამდენიმე მუჯღუფუნი მოხვდებოდა ბილეთის წარდგენის დროსაც.—თეატრის შესავალ კარებში. ზემო ტანსაცმელის ვახდა-ჩაბარების დროს დაიწყება ვინ წინაა, ვინ უკანა? თუ ტანისამოსის შემნახველი კარგად არ ვიცნობთ, მისი ყურადღება არ დავნიმსახურებო **რაითიმე**, ნახევარი საათის ლოდინი მაინც დაგკირდებათ. თავის „პრეიუს“ კი ჩქარაც ჩამოართმევინ და უკანასკნელი მოქმედების წინ თავის ხელითაც შეუტრეინებენ საცქერს.

როგორც იქნა შეხვედით დარბაზში: თქვენ იდვილი ხშირად დაკავებული დახვდებოდათ. ეს „შეცდომით“ ხდება, რადგან ცოტა დავიგვიანდათ და თქვენც იძულებული ხდებით ან სხვისი თავისუფალი ადგილი დაიკავოთ, ან ფეხზე სადმე ვაჩერებ ანტრატკამდის. მეორე ზარი მიცემულია, დარბაზი ნახევრად დაბნელებულია. ასტყდება უშეფლებელი ბრაბა-ბრუხი, რაბა-რუხი სკამებზე და კარებებისა, სირბილი, ჩიჩქოლი, რადგან თურმე ბევრს დახვავინებია და ახლა ეძებს ადგილს. ხალხი ამ დროს უფრო მეტი აწყდება დარბაზს. ვისმის აქეთ-იქიდან ნაცნობების გამოხმაურება-გამოძახილი. გულის ფანქცალით ელთ როდის აიხდება ფარად, რომ იქნება მაშინ მაინც დაწყნარდეს ხალხი. დანიშნულ დროს (8 ს.) მეიერ 8¹, ან 9 ს. აიხადა ფარად: სცენაზე გამოჩნდა რომელიმე „პრეიუსის“ საყვარელი მსახიობი, ასტყდება გახუტრებული ტაში, ქანდარის ჩვეულბრვივი ჟივოდ-ხიცილი. მსახიობი ამ უტდის სწყენარის ჩამოვადებას, ან იწყებს როლს. „ტსსს, სიჩუმე“ დაიღრიალებს ვინმე იერიქონელი... დაიკარვა, რასაკვირველია, სცენა. ვაფუქსა შთაბეჭდილება: ისევე განმეორდება შეშდევ მოქმედებების დროს იმითურ, რომ ახლა სხვა პირობის მსახიობი გამოჩნდება სცენაზე, ამასაც ტაში სჭირია! ქანდარა უარესად ახმაურდება. ვადმოიტყორცნება უწამწური და შეუფურებელი რეპლიკები, ოხუნჯობა და სხვ.

ამის შემდეგ ბრუნდები სცენაში უფრო ძარღვებმოშოლი იმ ტაძრიდან, სადაც იტებუი მყდრობებს, დასვენებას, სულიერი საზრდის მიღებას.

წუ თუ თეატრის ადმინისტრაციას არ შეუძლიან, შექმნას დისკორდონა და თავიდან აგვაჯიროს ზოგიერთი უტეხულობა?!—უშთავრესად კი თვითუღს მოქალაქის კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული თეატრის მნიშვნელობა და მას არ ჰბლაღავდეს თავისი უხამსი საქციელით.

ა. ცინიხთავი.

რ ა მ ი ნ ი მ მ ბ ბ

რუსთველის თეატრი 10/II ტასო აბაშიძის იუმბილემ აუარებელი საზოგადოება მოიზიდა. წარმოადგინეს კომედია „პარიზული ბიჭი“ და „ნატურის თვალი“. ტასოს გამოჩენას საზოგადოება მქუხარე ტაშით შეეგება, ჰინდარიდან და ლოცებიდან გადმოაპირეს ფერადი ქალღაღადები მისასაღმებელი სიტყვებით. სახეიშო განყოფილება საუცხოოდ იყო მოწყობილი. ტასო სცენაზე გამოიყვანეს მისმა სახელგანთქამმა მშობლებმა—მამამ და ვასომ. ზეადმტაცო იყო სამი ქურუმის შემოსვლა. ფეხზე წამოხრილი საზოგადოება უხმოო აღფრთოვანებით შეეგება. სახეიშო სლოზმა დაიწყო საიუმბილო კომიტეტის თავმჯდომე, აკ. ფელიამ. მიულოცეს: მთავრობის სახელით შ. პ. ორახელაშვილისამ, სახელო. კომიტეტის მხრივ—ვლ. სვიმონიშვილმა. ტფ. აღმასკომის—ბუნნიკაშვილმა, სახელმ. აკად. დანის—ნ. დავითაშვილმა და ნ. გოცირიძემ, რუსულმა, დრამამ, სომხური დრამის—ტერდავითიანმა, მისსურიანმა და ალიხანიანმა, თურქთა თეატრმა, მწერალთა კავშირის და ქართული სიტყვის—ი. გრიშაშვილმა, აქატორიანის დრამ. დასის—ალ. იმედაშვილმა (ბათომს გაიწვია), ღუმეთის—ი. რევაზიშვილმა, „თეატრი და ცხოვრ.“—იოსებ იმედაშვილმა და სხ. მითათვის საჩუქრებით. ტაბლაშვილის ბავშვმა მიშმა 21 შრომის სკოლის მხრივ—ღმუჭა წაუკითხა და მთელი საზოგადოება ფეხზე წამოაყენა. მიიღო მრავალი მილოცვის დეპუტა. დასასრულ იუბილიარმა მოკლე მშვენიერი სიტყვით მადლობა გადგება და საზ-მას, რომელიც ასე დააბოლოვა: „გაუმარჯოს იმ ერს, რომელიმაც ასეთი დღესაბა იცის თავისი მიერ მუშაქისა!“—ო.

• ლექი.

სახალხო თეატრი 15/II ქართ. დრამის დასმა წარმოადგინა ტრ. რამიშვილის ცნობილი „მეზობლები.“ პიესის დადგმა ნაჭკარეობა ეტყობოდა.—მენბადიშვილს ასრულებდა გ. თახიშვილი.—მდიდარი ხმის პატრონი და მოხდენილი გარეგნობა, მპათიებს ხმის დამუშავება, თორემ ერთფეროვნება გააქარწყლებს მის მუდამ დაკვირვებულ სახიობას. ერთფეროვნება ან. ლითანიშვილიც, რომელსაც შეუძლიან უსათოდ თვალსაჩინო მსახიობი შექიქეს, თუ უწყებულ სკრალას გაივლის: საამისოდ მას ძალიერდ შესწევს. ნ. ჩიხლაძემ—საუცხოო ხატება შექმნა ტასოსი,—ამ ძველი წყობილების დროს თავადიშვილის ოჯახში აღმოცენებულ მეამბოხე სულისა. ვ. წინიძე სუთიძის ტიპური გამახიერებელია, მარგველიშვილი-ბარველისა და ადამიძე—სრულის შეგნებით და ლახათიანად ანსახიერებენ ნაკისრ როლებს; ასევე ბართაშვილი, რომელმაც მოგვცა გურული დამწყობებელი ქერიე-მანდილოსანი ნიკო გოცირიძე... ვანა სიტყვები მოიპოება მისი ხელოვნური, ყოველმხრივ განზომილ-აწონილი სახიობის დასახასიათებლად; სცენაზე გამოჩენისთანავე ხალხის აღფრთოვანებულ ტაში წარიტაცა, ასევე იყო ბოლომდე აღსანიშნავია გ. რომანიშვილ-დგებულება. ნ. ჰანჯვატაძე და ალ. თავდგირიძეც; — ეს სამი მუდამ კეთილსინდისიერი მუშაქი და თავის როლში მყოფი. იანჭოშვილმა გვიჩვენა გაყვინიზებული კნინა. პიესა გარეგნულად ქარავნ იყო დადგ

მული, ოღონდ სინათლის და ფარდების ცუდლუტობა შთაბეჭდილებას არღვევდა. ზოგერთებს როლების ცოდნის სისუსტეც ემჩნეოდა. ეს არაა ქარე. მესამე მოქ. დასასრულს სახ. თეატრის ქართ. მის დასმა—„ჯეირანმა“ წაიკითხა თვისი სიტყვა, რაცა მთელმა ხალხმა ხანგრძლივის ტაშით მიიღო. სიტყვის ამ ნომერში ვათავსებთ.

პიესმა განსუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა თავისი რევილიუციონურ-მეამბოხე სულით.

ამავე დასმა კვირა საღამოს მეორედ წარმოადგინა ნ. შიუკაშვილის „ციცნათელა“. რეისორის დადგმაში ცვილილებანი შეეტანა, მსახიობთა შესრულება—პირენდელ წარმოდგენასთან შედარებით—მოსუსტებდა. წინსვლა—ზრდა, არა უკან დახევა,—იო რუნდა იყოს მცენება ხელოვნისა. ეს არ დაივიწყონ.

უსავანო

გერმანიის პროლეტარიატის სახელობის მუშათა კლუბში (ტყე ტრესტი ორთქალაში) იანერის 20 აბ. ე. კულუბიშვილის რეისორობით დაიდგა ა. ცავაროს „ხანუმა“. აუარებელი ხალხი დაესწრო, რაც შედეგია არა მარტო ამ პიესისხად სიყვარულისა, არამედ საერთოდ აქაური ქართული დასის სისტემატიური კეთილსინდისიერი მუშაობისა. ყოველკვირა იდგმის ქართ. წარმოდგენა. ყოველი პიესის დადგმას ემჩნევა რეისორის მტკიცე და დინჯი ხელი.

ამ პიესაში როლებს ასრულებდენ: ხანუმა—ა. მარქაროვისა, ქაბატის—ა. მკველიშვილისა, გ. პაპინაშვილი—თავად ფანტიაშვილს, ე. მათირიშვილი—კოტე ფანტიაშვილს, დ. ჩაჩანიძე—აკოფას, გ. კობიზოვი—ტყული კოტორიანს, გ. ყუყუნაშვილი-ჩიციკა—ტიმოთის. ყველაში დამამკაყოფილებელი იყვნენ.

ადგილობრივი ქართული დრამატიული წრე (მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთთან შესდგება) დიდს უნარს იჩენს სასცენო საქმეში. აქ იმართება სომხური და ხანდახან რუსული წარმოდგენები; რასაც ესწრებიან ხარფუხ-ორთაქალის და ნაწილობრივ ავღანების მუშები ოჯახებითურთ. აღსანიშნავია საფუბრიკო-საქარხნო კომიტეტის პასხიანებელ მდივნის ამხ. ს. ტრადიანის მოღვაწეობა ამ კლუბის გარშემო ოგოლოც მისი ტექნიკური და გავართობა-გამშვენიერების, ისე არსებულ წრეებზე მზრუნველობის მხრივ. ამჟამად კლუბში სწარმოებს სწრაფი მუშაობა (სცენის გაფართობება, დეკორაციების ხატვა, და სხვ.) კლუბთან არსებობს ადგილობრივ ავღანებზე და მუშავებთაგან შემდგარი სახეიდრო ორქესტრი ამხ. ვასო სულხანიშვილის ლიტარობით და მომღერალთა გუნდამხ. შაქო ქალაქის ლიტარობით. განზრახულია გავითყვე თიხკურ ტანთავარჯობის (ფიკელტურის) ჯგუფების დაარსება.

ს. აუტროვი

ბათუმის სეზონი თეატრის შეუწყვეტლობის გამო დაგვიანებით დაიწყო ნოემბრის პირველ რიცხვებში. რეპერტუარი უმთავრესად ორიგინალური და კლასიკური, კვირაში ორი წარმოდგენა იმართება—ოთხშაბათობით და კვირაობით. დასში ოცი კაცია.



მსახიობნი ნივთიერად უზრუნველყოფილი არ არიან, პიესის დადგმისათვის ბევრი საკირო მოწყობილება აკლიათ. ამ თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და განსაკუთრებული ყურადღებაც უნდა მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, რომ დასმა შესაძლოს წარმოდგენების უფრო მხატვრულად დადგმა.

ი. სამცხელი

ქ. ღუშეთში შვიდი თვეა დაარსდა ქართული დრამატული წრე. წარმოდგენები კვირაში ორჯერ იმართება. მიუხედავად იმისა, რომ დიდი დაბრკოლება ექობება (ტანისამოსის, რეკვიზიტის, ბუტაფორის და სხ. უქონლობა). სცენის მოყვარენი მაინც თავგამოდებით მუშაობენ. სამუშაოზე ზოგიერთი სცენისმოყვარე გულციოზას იჩენს, მაგ. გვიან მოდის, მთვარელი და სხ. რაიც უწყობას იწვევს. ხშირად პარტერშიც ირღვევა წესიერება. გამგეობას ჰმართებს ჯეროვანი ყურადღება მიექციოს როგორც სცენაზე, აგრედვე პარტერში წესიერებას. დრამ. წრეს და მის ხელმძღვანელს დიდის გაკრძობით უხდება ღუშეთის სცენაზე მუშაობა. დროა ვისაც ევალება, ხელი შეუწყოს ამ დიდ საქმეს: ადგილობრივმა მოწინავე პირებმა სასუთარი ხელით უნდა გააქეთონ ეს საქმე, თორემ უცხო ვერას გაუქეთებთ.

ხემრე

ჭიათურაში ქართული აკადემიური თეატრის სეზონი დაიწყო 1923 წ. დეკემბრისთვის 20 „ქან-და მადლენა“-თი. მას შემდეგ პიესები იდგმება კვირაში ორჯერ—შაბათობით და კვირაობით. დაიდგა შემდეგი პიესები: ქან-და-მადლენა, ცხოვრების გარეშე, მეორედ გაყმაწვილება, პარიზის ღარიბ-ღატაკნი, მეფე, ზოგი ჭირი მარგებელია, ცხოვრების გარეშე, ლაქია, მოც მწერალი, გაკრუტებული იმედი, შურის ძიება, ცოდვა, სტუმარ-მასპინძლობა, ნათესისათვის, ბედნიერი დღე, № 21 ჯვრით, ხანუმა, ორი იბოლი, ირინის ბედნიერება, ორი ჯიბგირი, ალფომი, სიბარბილე, აშენდა საქართველო, და-ძმა, უტინობი, ბურუსი, ტასო აბაშიძის გასტროლოები და სხ. განზრახულია გასტროლოები მოკლე ხანში: ვ. გუნიასი, ი. ზარდულიშვილის, ალ. იმედაშვილის, ნ. დავითაშვილის, ნ. ჩხეიძის, გ. დავითაშვილის, მ. შიგინანის და ელ. ჩერქეზიშვილის. დასში არიან: ჭიათურის დამსახურებულნი სცენის მუშაკნი: სიხარულიძე ნ., ბერძინიშვილი ნ., გ. ნუცუბიძე, გ. გურული, ს. ლევაია, შ. ლევაია და ახალგაზრდა მახიობნი: შ. გამრეკელი, სირბილაძე, ნლიდა, ანკარა, ფტალიდი, დ. ჩხეიძე და შალვა ხონელი.

პიესების დადგმას ხელმძღვანელობს მსახიობი შალვა ხონელი. დასს იწინავეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი. ხალხი ყოველთვის აუარებელი ესწრება წარმოდგენებს. სეზონი დასრულდება ივნისის ბოლო რიცხვებში. ადგილების ფასები ყველასთვის ხელ-მისაწვდომია.

ნაშაგვარი

ქვეყნ-სეზონი

ბახში ერთი თვალსაჩინო სფეველთაგანია გურიამი. აქ არსებობს 7-წლიანი შრომის სკოლა, სამკითხველო, ფოსტა-ტელეგრაფი და სხ. იშვიათად შეხვდებით წერა-

კითხვის უკოდინარ გლესს. ასე რომ,—კულტურული მხრივ,—სი სოფელი, სხვათაშნ შედარებით, წინ სდგას, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მას აკლია ერთი დიდი რამ: სახალხო სახლი.

წინეთ ანის აშენებისათვის ცდილობდნენ. ჰკრებდენ შემოწირულებას, სდგამდენ წარმოდგენებს და სხ. ბოლოს ს საქმე რაღაც მიუჭურჩა. დღეს კი ამის შესახებ არცინ არ ზრუნავს. წარმოდგენები დროგამოშვებით იდგმება სკოლის შენობაში. ამ ბოლო დროს ყოფ. ეკლესიის შენობა გადაკეთდა „სახალხო სახლად“. სოფელში მოიკრივია მასალა, დაიდგა სცენა, აგრედვე შეტანილი იქნა სადეკორაციო ტილოები, საქმე გაიზარა, გარან ეს შენობა თავის ნამდვილ დანიშნულებას ვერ ასრულებს. შიგნით არ არის სამკოფი ადგილი ხალხის მოსათავსებლათ და სხვ.

საკირო „სახალხო სახლის“ აშენებას მივაქციოთ ყურადღება და მიუწყებელი საქმე ვაგაზალოთ.

აქ არც დრამატული წრეა შემდგარი, რომელსაც შეემძღოს სისტემატიურად მართოს წარმოდგენები,—საკიროა შესდგეს ასეთი წრე. საამისო ძალები აქ მრავლად მოიპოვებინ.

ვის ევალება ამის შესრულება?

აუცილებლად სოფლის შეგნებულ მუშაკთ—მასწავლებლებსა და თვით ადგილობრივ ხელისუფლებასაც. საქმე დაწყებაა, ბოლოს თვით ხალხიც შეეხებება.

აღ. დობრიელი.

სოფ. ოფიშქვეთში (საყულის თემი) 1918 წ. შესდგა ვ. ლლის ხელმძღვანელობით სცენისმოყვარეთა წრე. ქალებს თუმცა შრომები სცენაზე თამაშ სასტიკად უჩრძალავდნენ, მაინც 5 ქალიშვილი შევიდა სცენაზე და დღემდე ერთგულად ემსახურებიან მას. ესენი არიან: მუშანიკა ავალიანი და ლიდა, ქეთო, ქსენია და სონა ლალაშვილები.

სოფლის გაუნათლებელი ხალხი, ვინ იცის რა ლანდღვა-გინებით არ უმსპინძლდებოდა ამ ჯგუფს, სამაგიეროდ შეგნებულ ნაწილი აღფრთხილებით იხსენიებდა მათს ხელოვნებისადმი ერთგულ სამსახურს და სხვადასხვა თემებში იწვევდა. ამ წრის თათსობით სოფ. ოფიშქვეთში შეიქმნა სახალხო სახლი (ეკლესიიდან), რომლის შესაფერისად გადაკეთება იკისრა ქუთ. პროფ.-კავშირთა სამკომ.

მევიარი

სახალხო თეატრის ქართულ დრამის დასის სიმკვა

(1924 წ. თებერვლის 15)

თეატრი ანთებული წმინდა ლამპარი, ცხოველმყოფელ შუქის მფენი წყვილიაშმი.

თეატრი ხალხის გონებით განსაკუთრების, სულით ამოღების, გრძობების განაზების.

თეატრი ბუკი და ნალარა ბრძოლისა, მოკაშკაშე ვარსკვლავი გოლიათების აღმამფრთხილებელი.

თეატრი დაუშრეტელი იმედის, გაკავებულ რწმუნის და სიყვარულით აღზნებული გულის ბობოქრება ქეშმირიტების საძიებლად.

თეატრი დიდი სამოცელო, არა წუთიერი გატაცების, დროებითი ამადლელებელი,—არამედ ტაძარი, სადაც ხალხი კრებება, სულით ერთდებება, ერთად აზროვნებენ, ლხინობენ, იმედობენ, სიყვარულით თბებიან.

თეატრი შრომის გამარჯვების ჰიმნი—შრომელთ უბნებში.

თეატრი ხელოვნების რეალურ შემოქმედების ჩარჩოებში, ხალხისათვის გასაგებ ფორმაში აკინძული. აქ მირონს უნდა აკურებდეს თვით მირონცხებული.

ნინოსი ჯეირანი.

მსახიობი ეამს მუხლმოყრილი კანდლოვან, ვერა თულ სვეტებში,—ეამს უროებით ბორკილების ლურჯსა

მსახიობი ტრიბუნა, აგიტატორი, გუშავი კათა შორის ძმობა-ერთობის და სიყვარულის საგუშავოზე.

მსახიობი ტყუისმფრეველთან ბარკადებზე, შრომის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა წინა-რიგებში.

მსახიობი განსახიერება ძლევაშისილი მზიანობისა—მშვენიერებს ქურუმბი.

ვაშა ხალხურ თეატრს, ვაშა მის მშრომელ აუდიტორიას!

ქრისტიანე სამსჯავროს წინაშე

(ქართველ მწერალ ქალთა პირველი სალიტერატურო საღამო)

ქართველ მწერალ ქალთა თაოსნობით თებერვლის 24 პროფსაბუკოს კლუბში გაიმართა პირველი სალიტერატურო გასამართლება „ქრისტიანე“-ს გვირგვინისა, სი მითხრობა საგანსაბუკოდ ვადმოაკეთა ნინო ტყემელაშვილმა, ხალხის სამსჯავროში საჩივარი შეიტანა ქრისტიანე (მსახიობქალი ეფ. მესხი). ამ საგნის შესახებ შედგენილი რქმში აღწერილია მთელი ის პირობები, რომელთა წყალობითაც ქრისტიანე შეძობის გზას დაადგა, გაუმედურდა, და სხვათაშორის, ნათქვამია: „ეხლა, როდესაც ვაიგო (ქრისტიანე), რომ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება მუშურ-გლებურ მთავრობის ხელშია, შემოიტანა საჩივარი და თხოვლობს, რომ მისი შეურაცხყოფილი უფლება აღდგენილ იქნეს, რათა უსაყვედუროთ გავიროს თავის ტრადებში, ხოლო მისი შვილი ვგავა აღიარებულ იყეს ისინი უქმების კანონიერ შეზღუდვად და ამასთანავე მოითხოვს კანონისაგან სასტიკად დასჯას ყველა იმ პირებისას, ვინც ის თეთრ მონად ვახადა.“

ბრალდებულთა შორის იყვენ: ისინი უქმები (გ. ლორთქიფანიძე), დათია ხელმოკლიძე (ე. მესხი), ნატალია ურცხვაძე (დამსახურებული მსახიობქალი ქეთო ანდრონიკაშვილი), სონია (ელო ანდრონიკაშვილი), მოწმენი—შარიტე (მარიამ ბაიაშვილი) და სხ. სასამართლოს შეხადგენლობა: კოტე ლობაძე (თამაზ-არე), მსაჯულნი დარია ახლედიანი, ალ. ბენდუქიძე, მიდიანი—ლას. ჯაფელი ბანოვანი, ბრალდებული—კატო მიქელაძე, დამცველი—ალ. ასლიანაშვილი.

სტომის ვასხნისათანავე, თამაჯლომარის წინადადებით, დამსწრე საზოგადოებამ აირჩია სახალხო მსაჯულთბად: ბ. ვენდტი, ნ. დოლიძე, სერგო ამალბოელი, კქვიციანი, დი ქუბაძე, იოსებ იმედაშვილი ი. ნუტუბიძე, შ. ჭიშვილი, ბაბილიანი, ნ. ბარნაბიშვილი.

გამოძიება-კამომბა ცხოველი ხასიათი მიიღო. წარმოდგენილი გვირნი „ქრისტიანე“-სი ტუბიურნი იყვნენ. ბრალდებულისა და დამცველის სიტყვების შემდეგ მსაჯულთბმა თამაჯლომარად აირჩიეს იოს. იმედაშვილი. განაჩენის გამოტანის შესახებ კამათი დაიწყო საზოგადოების თანადასწრებით. დამაწმვედ იქნა ცნობილი ძველი წყობილება და ის პირობები, რომლებშიაც მოუხდეთ ცხოვრება ხსენებულ გმირთ, მათთან ის გმირები, რომელნიც დროს მიმდინარეობას ვერ უორჩნენ, ვარჯიხილებას მიეცნენ და სხვისსაც ვარჯიხილების გზაზე აყენებდენ პი-

რადი სარგებლობისათვის, საღამო ნაშუალამევის 2 ს. გათავდა. საზოგადოებამ მიდლობა გამოუცხადა ნინო ტყემელაშვილსა და ქართველ მწერალ ქალთა ჯგუფს ასეთი საღამოს მოწყობისთვის.

საქართველოს ძველი ხუროთმოძღვრების ამოღება.

ჩვენი ქვეყანა რომ მდიდარია მრავალნაირ ისტორიული ნაშთებით, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად ლაღადებენ ეროვნული კულტურის ძლევაშისილებას, ეს ყველასათვის ნათლია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჯერ ჩვენი ძველი ეროვნული კულტურა არ არის შესწავლილი და გამორკვეული; კიდევ რამოდენიმე ათეული წლებში საჭირო და აუარებელი ენერჯია, რომ ყველაფერი გამორკვეულ და შესწავლილი იქნეს.

ამ შირიე ყველაზე უფრო მივიწყებული იყო ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრების შესწავლა, მაგრამ პატივცემულმა პროფესორმა გ. ჩუბინიშვილმა ამ შირიე ძილად დაათვალიერებს საქ. მუხეუმის შენობაში მის ხელმძღვანელობით და ინიციატივით გამართულ საქ. ხუროთმოძღვრების გამოძენას. აქ ნახათ ალავერდის, ნინოწმიდის, ვავახტის, ატენის სიონის, მარტვილის და ანჩის-ხატოკელისის და სხ. ხუროთმოძღვრების ნაშთებს. მეტად შენარჩონიანი და იძლევა აუარებელ მასალას ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრების შესასწავლად. შედგენ ჩემი შირიე დაწერებლებით გავარჩევთ ამ მეტად მნიშვნელოვან გამოძენას.

შამოწიკრულბა

პროცინციის გამომცხილი

ცხედავთ-რა კვლევა განახლებულ ქურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს, ვუსურვებთ ხანგრძლივობას ჩვენი კულტურის საკეთილდღეობით. ჩვენი შირიე მის საგამომცხილო ფონისას გასამოძიებლად ჯერ-ჯერობით შემოგვაცხუთ-სუთნა მანერა თქობით.

- 1) ნიე შეჩარჩაბს ძე დარჩიაშვილი.
- 2) მიხეილ დიანოსხს ძე ჭრელაშვილი.
- 3) ალექსანდრე ძიძიაძე. (ქიზიუ)

შემდეგ ნომერში დაიბეჭდება გ. ბარნოვის ასე რომანიდან „სულთა კავშირი“.

სასაზოგადოებო სათაბრო ინსტიტუტი



ინსტიტუტში სულ 40-დე მსმენელია. სწავლის პერიოდი გაყოფილია ორ კურსად. მეცადინეობა ინტენსიურად მიმდინარეობს.

სასწავლო საგნები: ლექცია და მხატვრული მეტყველება. ორივე უმთავრესი უფრადდება აქვს მიქცეული, ამ საგნებს სათაბროში უდგანან დრამატურგი ნიკო შიუკაშვილი, აკ. ფალავა და მისი ქორელი. სპეციალურ საგნებს ასწავლიან: ხელოვნებათა ისტორიას—პროფ. ჩუბინიშვილი, ტანისამოსის ისტორიას—მხატვარი შარლენანი, ხმის დაყენებას—მომღიწარე ქალი შულვინა, პლასტიურ გიმნასტიკას—ბალერინა ელენტისა, მუსიკას—ალ. გველესიანი, ანატომიას (ნაწილობრივ) პროფ. ნათიშვილი, ქართულ ისტორიას—პროფ. შანიძე, ფსიქოლოგიას, დრამის ისტორიას და ლიტერატურას—კოწიკა კახანელი, ესთეტიკას—გრ. რობაქიძე.

სამოსწავლო წელში შეტანილია და უკვე ხალისიანად მიმდინარეობს ჯამბაზობა, აკრობატ ბორის აღთანსონს ხელმძღვანელობით.

როგორ ჩამოყალიბდება თვითუფლები მსმენელის სული და სხეული, რას მისცემს თვითუფლები მათგანი ჩვენს მომავალ ახალ თეატრს? გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ სურვილი, ხალისი და მისწრაფება ისე დიდია თვითუფლებში, რომ მხოლოდინი, რომლითაც აღჭურვილნი არიან ინსტიტუტის მსმენელები, აუცილებელი შეინახავს ფრთებს, გადაიჭყევა ახალ თეატრალურ ქვეყნად. მთელ თავის ძალას დაუპირისპირებს მობირდაპირე სტიქიას, თვით ურწმუნო თომასაკ დააჯერებს, რომ მხოლოდ „მომადლებული ნიჭი“ კი არა, არამედ თავდავიწყებული შრომა, მისწრაფება და აუარებელი ექსპერიმენტები საჭირო ასპარეზობის დაპყრობისათვის.

ამის მაგალითები დღეს ნათლად ემჩნევა მრავალ მათგანს:

შოთა მანავაძე პიტლო კლდესავით სდგას. მთლად გრძობათაა გადაქცეული. იგი პროტოტიპია აკ. ხორავასი.

მარო მრევლიშვილი მაგონებს ამაყ ნუსეს, როდესაც უფურცელ მის პატარა ტანს და მესმის მისი სულიერი სიამაყე. მაროს მომავალი აქვს.

გ. ვაძიაშვილი ხალისიანია. მან არ იცის ფიქრი, სევდიანობა, იგი მოქარგული სულია.

ნინო მათიკაშვილი ინსტიტუტის სიამაყეა, მისი ისტორიის ლაშაში პროფილი. მის ხმის თვითუფლები ბეგრამი ხაერადოვანი ძაფთა გავლენული.

შალვა ჩხეიძე ახოვანი, ინსტიტუტის სიერკეში არწივისებურად ამართული.

მიტო კანდრაია მრავალფეროვანია, მასში ბევრი მასალა დასამუშავებლად.

ხათია ჭიჭინაძე ცეცხლისებურ ტემპერამენტით მისი „მე“ ლაშაშია. ცოტა კანდიერი.

ალ. მესხიშვილი და წულუკიძე თამარი ქალთა პერონალიში დასაყრდნობი ძალები. წულუკიძე სათუთი ხმით ძვირფასი ქება ქალთა ფერხულის სამაჯურზე.

გიორგი ბალიაშვილი კახეთის სიმბრეა. მისთვის უფრო სენტიმენტალობა და მანკიანობა.

ქეთო კლაშვილი ნატო ჯავახიშვილის თანამემგობარე: ანჩხლი, გოროზი, კაპასი, ხან-კი სანატრული „გაიანე“—

ივლიტა ჯორჯაძე ცოცხალი ტემპერამენტით, ნაზი ხმით, „მომბედლი ვარდებით და ალგვილი გრძობით თილისმა იქნება პარტურის მოჯადოებისათვის.

გერონტი ხელაია ბევრი შანსი აქვს, რომ კარგი მსახიობი დადგეს.

ავთან. მებაღეშვილი მომავალი აქვს, რომ უფრო სლადო მოიხმარდეს თავის უნარს: გადაჭარბება და მეტი დრამატიზმი იმაში ჩვეულებათაა გადაქცეული.

მ. დოლიძე, ავალიანი, ოლ. ჯიბლაძე, ელ. ცხველიანი, ხესილია თაყაიშვილი საერთო ფერხულში ნათლად მოსჩანან მათი სახეები.

გრ. შიქელაძე ინსტიტუტის კოლექტიური სლავეარდ ყვავილთა ტოლუმბაში.

და მრავალი სხვა სახეები, სასპარეზოთა გამოსულეები, ფეხბრუნვის მისდევენ დიად საქმიანობას და ბევრ მათგანსაც ემჩნევა ძალა ტიტანურ შრომასთან საბრძოლველად.

ამხანაგებო, ფხიზლად! თქვენ შემოგყურებენ ახალი თეატრის ბეღით დაინტერესებულნი.

ორი და სამი წელი არ კმარა! საბოლოო გამარჯვებისთვის საჭიროა დიდი შრომა, შეუწყვეტელი მეცადინეობა.

მუშა გოგია.



ს ა ხ ე ლ მ წ ი ზ ო კ ი ნ ო მ რ ა ე წ ვ ე ლ ო გ ა

თეატრები

„აკრასტო“ და „კელო“

სამშაბათიდან, 11 მარტიდან

ორ კინო-თეატრში ერთსაღიამევე დროს

დადგმა და სცენარი ნაზაროვის

„ვაშის გეკლეი“
(სამარტხენო ბოძზე)

საზოგადოებო რეჟისორი

მთავარ როლებში:

ნუნუ—ანდრონიკაშვილი-ვანძიხია
იაგო—სარაჯიშვილი
კობა—ანდრონიკაშვილი
გრიგოლა—ვასაძე

ოპერატორი ზაბოზღაიანი

სამშაბათიდან, 11 მარტიდან

10-2

პრესა ვადაძკარია

(ლენინის, ყოფ. ოღლას ქ. № 35)

ღებულობს ქალთა და შინაგან ხენით

ავადმყოფთ, აგრედვე უწყეს საბებლიო დანმარებას

დილის 9-12, ნაშუადღევს 3-7 ს.

13

ეურნალში დასაბეჭდათ მიიღება განცხადებში

ფასი განცხადებათ დაბეჭდვისა: მთელი გვერდი — 25 მ., მეოთხედი — 20 მ.,

ნახევარი — 30 მან., მესამედი — 25 მ., დანარჩენი — 1 მანეთიდან-10 მანეთამდე.

თვიურად და წლიურად — შეღავათით.

ფოტოგრაფია

სათეატრო ხელოვან-ფოტოგრაფის

ეესიხი ყვანიასი

(თავისუფლების მოედანი, № 3, ზემო სართულში)

ასრულებს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამკმს

ხელოვნურად, სწრაფად და ხელმისაწვდომ ფასეგში

10-2

სურათების გადაღება დილის 9 ს. საღამოს 5 ს-დე.

ახლად გახსნილი სასაღილო „საქართველო“

(მოსკოვის ქ. № 2, ვერის დაღმართის ასწრვიე)

სადილი ჩვენებური და ევროპიული 2-5 ს. ვახშაში — 12 ს-დე.

სანოვაგა ახლოთახალი, სისუფთავე — საუცხოო, სიიაფე — ყველასთვის ხელმისაწვდომი,
საუზგე — ნაირნაირი. ყოველდღე ხაში, იმერული სკმელები საცივი, ხარზო, ლოვი
და სხვ. სასამილი — ყოველნაირი სხვადასხვა ფირისა.
სასადილოსთან მოწყობილია ცალკე კაბინეტები.

პატივისცემით: დ. გიგინერია
მ. ნაღბანდიშვილი

ქახულის მკვანახათა აგხანაგოგა

ქახური ღვინო „ამირანნი“

(ახლად გახსნილი ყოფ. „საერთო“)
ინახება საყუეფესო ხარისხის

ქახური გუნაგრივი ღვინოეგე

როგორც წითელი, აგრეთვე თფერი,
ხელმისაწვდომ ფასეგში
იყიდება წვრილად და ბითუმად.
ბელინსკის ქ. № 9.

პატივისცემით საწყობის
გამგე: ს. მ. ქართველიშვილი.